საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მემკვიდრეობის დეპარტამენტი

გენეალოგიური კვლევის ცენტრი

ი უ რ ი  ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი

# ქ ა რ თ უ ლ ი  წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი  გ ვ ა რ ე ბ ი

# თ ა ვ ა დ ი  ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ე ბ ი

არტანუჯი
თბილისი
2002

| | |
|---|---|
| მხატვარი | დეა ჯაბუა |
| კომენტარები დაურთეს | ზეინაბ ლომჯარიამ,<br>იური ჩიქოვანმა |
| წიგნზე იმუშავეს | იოსებ ბიჭიკაშვილმა,<br>ქეთევან ბოტკოველმა,<br>ირინა კვირკველიამ,<br>ლია ლეკიშვილმა,<br>ცისანა სადაღაშვილმა |
| რედაქტორი | ზეინაბ ლომჯარია |

© იური ჩიქოვანი

ISBN 99928-0-342-8
© გამომცემლობა «არტანუჯი», 2002.

## ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

1998 წელს მოსკოვში სერიით «Дворянские роды Российской империи» გამოიცა მეოთხე ტომი სახელწოდებით «Князья Царства Грузинского», რომელიც მიეძღვნა ქართულ ფეოდალურ გვარებს. ჩემს მიერ მიწოდებული მასალები, მათ შორის თავადი ჭავჭავაძეების შესახებაც, ამ წიგნში მნიშვნელოვნად შეკვეცილია. გარდა ამისა, ნუსხებისა და ტექსტის აკრეფის დროს, სამწუხაროდ, დაშვებულ იქნა უზუსტობანი, რის გამოც წიგნს ბევრი ხარვეზი ახლავს.

წინამდებარე ნაშრომი თავად ჭავჭავაძეთა გენეალოგიის კვლევის შედეგების პირველი პუბლიკაციაა ქართულ ენაზე და აქ წარმოდგენილი გენეალოგია სადღეისოდ სრულყოფილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლებურადაა გააზრებული XVI-XVII საუკუნეების ჭავჭავაძეთა გენეოლოგია (იხ. ნუსხა I), რომელიც განსხვავებით ძველისაგან, ტრადიციულისაგან, სრულ შესაბამისობაშია ისტორიულ დოკუმენტებთან. აქვე, დავძენ, ზოგიერთ შემთხვევაში, ნუსხებში შეყვანილი არ არის ჭავჭავაძეთა ის შთამომავლები, რომლებიც მცირეწლოვნები გარდაიცვალნენ.

საჭიროდ მივიჩნიეთ, მკითხველისათვის გაგვეცნო მეტრიკული ჩანაწერი, სადაც ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღად 1837 წლის 20 იანვარია ნაჩვენები. მკვლევარები ამ დოკუმენტს იცნობენ, თუმცა ეყრდნობიან რა ილიას ავტობიოგრაფიას, უთითებენ 27 ოქტომბერს.

დანართის სახით ვაქვეყნებთ **ილიას** სანათესაოს _ **მელქისედეკ ანდრონიკაშვილის** შთამომავალთა გენეალოგიურ ტაბულას (არასრული სახით). აქ წარმოდგენილ პირთაგან უმეტესობა ქართული ისტორიისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფიგურები არიან.

დასასრულ, მადლობას ვუხდით ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი, დოკუმენტური მასალების მოწოდებისათვის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, ქალბატონებს: დარეჯან კლდიაშვილს, ნანა მშვიდობაძეს, მზია სურგულაძეს, ხოლო ფოტოსურათებისათვის _ ლალი ალექსი-მესხიშვილს, ელენე გედევანიშვილს, ნანა ინაშვილს, გულნარა კობახიძეს, მაია კოკოჩაშვილის, ივდით მაყაშვილს, ნინო საგინაშვილს, ირინე და ნატა ფირცხალავებს, ლიკა, ნატალია, ნინო, რუსუდან ჭავჭავაძეებს, ბატონებს: ლევან თაქთაქიშვილს, მერაბ კოკოჩაშვილს, რევაზ მაყაშვილს, გულბათ ტორაძეს, დავით ჭავჭავაძეს, აგრეთვე, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს და ამავე მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილების გამგეს, ქალბატონ თამარ ზურაშვილს.

## ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ნ ა რ კ ვ ე ვ ი
## თ ა ვ ა დ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თ ა ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ს შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ წარჩინებულთა გვარს მიეკუთვნებიან თავადი ჭავჭავაძეები.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში «აღწერა სამეფოსა საქართველოსა» თავად ჭავჭავაძეთა გვარის შესახებ აღნიშნულია: კახეთში «მთავართა შორის აწინდელთა

ჟამთა წარჩინებულესნი და შემძლებელნი» არიან «ჩოლოყაშვილი და მაყაშვილი, ენდრონიკასშვილი, ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახისშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი, გურამისშვილი და ტუსიშვილი-ზედგენიძე».[1] ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის ვაჟი _ იოანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში _ «შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა» _ თავადი ჭავჭავაძეების წარმოშობის შესახებ წერს შემდეგს: «თავადი ჭავჭავაძე, არიან ორ გვარად, პირველნი რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა, იგინი არიან ძველადგანვე დროსა მეფისა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ფშავის მთითვე ჭავჭეთის ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი, რომელნიცა აწ არიან: 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მელქისადეგისა შვილები. ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდან მოსრულნი, რომელნიც ამზობდენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქვნდათ მათთან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლესა მეფისა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ერეკლე პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემ ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნითგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდენ მამუჩის შვილებად და რომელიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზირის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი».[2]

პირველი დოკუმენტური ცნობები თავად ჭავჭავაძეთა შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში XV საუკუნიდან გვხვდება.[3] ამ საგვარეულოს უძველესი, ისტორიულად ცნობილი წარმომადგენელი არის ფაროდი (ფარიდონ) ჭავჭავაძე[4]; იგი იხსენიება 1440 წლის სიგელში, რომელიც საქართველოს მეფემ ალექსანდრე პირველმა, დიდმა (1412-1442) უბოძა კათალიკოს შიო II-ს (1440-1443); ფაროდის შესახებ აქ ვკითხულობთ: «ქ. სახელითა ღთისათა ჩუენ პატრონმან მეფემან ალექსანდრე ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი და ნიშანი გკადრეთ და მოგაჴსენეთ თქუენ... დედა-ქალაქსა მცხეთისა საყდარსა და ... ქართლისა პატრიარქსა კ~ზსა შიოს მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისა და შლილობისაგან მცხეთისა და გარესჯისა უდაბნოსა მამულთა მათნი მემზღურენი შემოეცილნეს და რაცა არაგუსა აქათ მცხეთისა მამულნი იყუნეს, მეჟმეობით, რომელთამე მიიტაცნეს, ვქენით მოკითხული და რა გუარცა გუმართებდა, ძველნი გუჯარნი და სიგელნი მოვახუმევინეთ და ვითა არავის მართებდა, აგრე ჩამოვხსენით და არავის-რა საქმე დავადებინეთ არა დიდთა და არა მცირეთა, რა გუარცა არავინ ღირს ყოფილა: ჭავჭავაძესა ფაროდის ზენკელისძისა პროკოპისათჳს ნატყუარი სიგელი დაეწერინა ვანთა, ვარცისა და დუმას-უბნისა და რაგუარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ და ფიცითა გარდაწყდა და უდაბნოსავე დარჩა. ამას გარედ რაცა გარესჯისა უდაბნოსა მამულნი არიან და გუჯრები ძეს მთას იქითისა და მთას აქითისა, რაგუარათაცა ამას წინად ჩუენთა გუართაგან ხელშეუვალნი ყოფილან, მით წესითა დაგიმტკიცეთ და მოვაჴსენეთ... ამას გარეთ ერწოს ორი სოფელი ნოდოკსა და გორანა მათითა მზღურითა ერთობით ყუელანი, რაგუარცა ძუელთა გუჯართა შიგა სწერია, ბინწმენი მისითა მზღურითა, ხატის-წობედა, ძაგ ნაკორნათა, რაცა მცხეთისა არის, ჯუარი, ჯაჭჳ, ფოსუი, კუტალას ორნი, კუამლი კაცნი. ამას გარეთ ნიწობლის ძისეულისა მამულისა და ოქროპირის შვილისა მამული, გარდაუწყვეტელი დარჩა და სააჯოს კარი არა დაგეჭიროს; და

ვისაცა მცხეთისა და გარესჯისა მამულთანა საქმე ედვას, იგი სამართლითა გარდაწყდეს. ქკს: რკვ».[5]

XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე თავად ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენლები აქტიურად მოღვაწეობდნენ კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში როგორც მეფის კარისკაცნი, მრჩევლები, დესპანები, მხედართმთავრები და მაღალი სასულიერო თანამდებობის პირები.

ისტორიული წყაროები და, აგრეთვე, ხალხში დარჩენილი ზეპირსიტყვიერი გადმოცემები მოწმობენ, რომ თავადი ჭავჭავაძეები კახეთის მკვიდრნი არ ყოფილან. ისინი საქართველოს სხვა კუთხიდან მოვიდნენ «ალაზნის დიდ ჭალას» და იქ დასახლდნენ.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი, გრიგოლ ყიფშიძე 1913 წელს წერდა: «გადმოცემა ამბობს, რომ ჭავჭავაძენი ხევსურეთის მკვიდრნი იყვნენ, იქიდან არიან გადმოსულნი და ამ გვარის კაცნი დღესაც არა ერთი და ორი კომლია ხევსურეთში. ეს გვარი აქა-იქ გლეხკაცებად სცხოვრობს დღეს (XX ს. დას. _ ი.ზ.) ქართლშიც, მაგალითად ცერონი-სავლევში».[6]

ამ ფაქტსავე აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი თავის ცნობილ ლიტერატურულ ძეგლში _ «კალმასობა», რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი და ისტორიული პირი _ გარსევან ჭავჭავაძე ამბობს: «მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა ჩავა ჩემს გულში, არღა ამოვაო».[7]

ჩვენამდე მოღწეულია ხალხური ლექსი, სადაც ფშავის სანახებთან გეოგრაფიულად დაკავშირებული ჭავჭავაძეთა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის ბრძოლა და სიკვდილია აღწერილი:

«ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში, ჭავჭავაძეო,
თავზე გჭირს სამი ნახმლევი,
ზედ ერბო-კვერცხი გაძეო!» [8]

ფუძნარი ძველი სოფელია, რომელიც მდებარეობს ამავე სახელწოდების მთის ძირას, თიანეთისა და დუშეთის რაიონების მიჯნასთან, ჟინვალის აღმოსავლეთით.

არსებობს თავად ჭავჭავაძეთა წარმოშობის სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით, ვიდრე ისინი კახეთში გადმოსახლდებოდნენ, ცხოვრობდნენ ჯერ ქართლში და შემდგომ ფშავში დასახლდნენ.[9]

XV საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველო სამ სამეფოდ დაიშალა, რასაც სათავადოების ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ დროსაა სავარაუდო შექმნა ჭავჭავაძეთა სათავადოსი, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა გურგენიძეებისა და ჯორჯაძეების სათავადოები, აღმოსავლეთით _ ქიზიყის სამოურავო, სამხრეთიდან _ ჯანდიერების, ხოლო დასავლეთიდან _ მაყაშვილების სათავადოები.

თავადი ჭავჭავაძეები ორ შტოდ იყვნენ გაყოფილნი. ერთი შტოს რეზიდენცია ყვარელში, ხოლო მეორისა _ წინანდალში იყო. XVI-XIX სს-ში იქ მათ სასახლე, ციხე-სიმაგრე და კარის ეკლესია ჰქონდათ. ყვარელის ჭავჭავაძეთა საგვარეულო საძვალე ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია იყო და არის დღესაც.

ჭავჭავაძეების სათავადოს, ისევე როგორც სხვა სათავადოებს, სამართავად უნდა ჰყოლოდა თავისი მოხელეები (მოურავი, მდივანი, მამასახლისი, ხელოსანი და სხვ.), მაგრამ ამის შესახებ ცნობები ისტორიულ წყაროებში დაცული არ არის.

XVI საუკუნიდან მოყოლებული, თავად ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენლები ქართულ ისტორიულ საბუთებში არაერთხელ იხსენიებიან. მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის სიგელში, რომელიც 1517 წლით თარიღდება, მოხსენებულნი არიან ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შემდეგი წევრები: «...ესე... სიგელი... მოვაჴსენეთ თქუენ ... (მცხეთას) და კზ˜ს ბასილის ჩუენ ჭავჭავაძეთა როშნიას შვილთა: ზაალ, დასტან, მანუჩარ და გიორგი... ოდეს ჩუენი ძმა შემოგუაკუდა... შემოგწირეთ მისთჳს... (საკანონოდ) ახალ-კალოს ჩუენნი მკჳდრნი ყმანი ლურსასძენი... და ახმეტას ვენაჴი..., რისაც მამული (იქ მსხდომნი გლეხნი) მქონებელნი ყოფილან... დაიწერა ქკ»ს: სე:». [ბოლოს სხვა ხელით]: «ახლად ჩუენ გიორგის შვილნი (ჭავჭავაძენი) გარსევან და ბეჟან შევეცილენით ლუარსას ძეს სამნიას მამულსა... ესე სიგელი მოიტანეს (ლურსას ძეთა)... შევაკმეთ... და... კიდევ შევწირეთ».[10]

კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) მიერ 1584 წელს გაცემულ წყალობის წიგნში მოხსენებულია გარსევან ჭავჭავაძე, რომლის მამული და ყმა მეფემ უბოძა თავის ერთგულ თავადებს: «[ქ.]... [ჩუენ, ღ[უ]თ]ივ გუირგუინოსანმან, ძლიერმან და მტერთაგან უძლეველმან, ღ[უ]თივ დამყარებელმან და ღ[უ]თის მსახურმან საქართველოსა მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ და ძეებმან ჩუენმან პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი და პატრონმან კონსტანტინე, ესე უთუო და უთუომცაი დრო-დაუდებელი მიზეზ-შემოუღებელი და ჟამთა აღსასრულამდის გასათავებელი წიგნი და მტკიცე სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და თავგაწირვით ნამსახურთა და ჩუენთა თანა-შეზრდილ-გაზრდილთა ყმათა და ჩუენთა სამსახურზედან მრავალფერად ჭირნახულთა ჯანდიერიშვილს არსლანს და თქუენთა შვილთა, დავითს, გივსა და რევაზს და მომავალთა თქუენთა ყოველთავე, მას ჟამსა როდესცა მოხუედით კარსა ზედან დარბაზისა ჩუენისათა და ამასგუეაჯენით, რითანცა შეგუეწყალენით და ნამსახურთა თქუენთა სამუქფო _ წყალობა გუეყო; _ აწე ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, და ეგრეთ არა გიწყალობეთ, ვითარცა ერთგულად ნამსახურსა თქუენსა ვემართლებოდით, და გიბოძეთ თქუენთუის სამკუიდროდ ენისელთათ ჭავჭავაძის გარსევანისეული კაცი კუამლი ექუსი და ყუორუღი ერთი, საკანს დანიელაშვილი და მისი განაყოფი მათის ყმებითა და წისყუილითა, სხუა კაცი კუამლი სამი, გორამიყარს გოგოღლასეული კაცი კუამლი ორი, ბარაუნთათ ქაღალდასეული კაცი კუამლი ერთი, კიდევე ბარაუნში, ჯანაანი კაცი კუამლი თექუსმეტი, კიდევე ბარაუნთათ ქამზაათისეული კაცი კუამლი თხუთმეტი და ახმეტას ვენახი ერთი ჯოთენურისეული; ესე ამითისა სასახლითა, ქუევრ-მარნითა, ვენახითა, წყალ-წისქუილითა, სახნავითა, სათიბითა და უთიბითა, ტყითა და მინდურითა, სახმრითა და უხმრითა, მათისა სამართლიანითა ყოვლითურთ უნაკლულოდ თქუენთუის სამკუიდროდ გუიბოძებია ასრე და ამა წესითა რომე ამა ჩუენგან ნაბოძებსა ყმასა და მამულსა ვერცა თყუენი ძმები, ვერცა მათი შვილები და ვერა თქუენი სახლისკაცი და ნათესავი ვერა დაგეცილოსთ და ამა ჩუენგან ნაბოძებსა ყმასა და მამულზედან ხელი ვერავინ დაიდვას, სამკუიდროდ თქუენთუის და თქუენთა შვილთათუის გუიბოძებია ყოვლისა კაცისაგან ხელშეუვალად და, თუ ვინმე დაგეცილოს, პასუხის გამცემი ესე ჩუენგან ნაბოძები სიგელი იყოს, რომე ამა ყმასა და მამულზედან თქუენის სახლის-კაცსა ხელი არავის აქუს, ხელშეუვალად თქუენთუის გუიბოძებია. აწე გქონდესთ და გიბედნიეროს ღ»თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან-ბრძანება ესე საბოლოვოდ ნიშნად გუიბოძებია. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე

ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა წელიწადსა მეათესა, თუესა ივლისსა შუიდსა, ქკ»სა ს:ო:ბ: და ლაშქარ-ნადირობასა და სათათროსა საურისაგან კიდე სხუა საჩუენო სათხოვარი, გამოსაღები და ბეგარა ამა თქუენსა მამულსა არა ეთხოვებოდეს. დაიწერა წიგნი ესე კარისა ჩუენისა მწიგნობრისა ფრიად ცოდვილისა მთავარასძის ზურაბისაგან. ხელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისაითა ამენ»[11].

XVI საუკუნის ბოლოს ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენლები იმდენად დაუახლოვდნენ კახეთის სამეფო კარს, რომ სახლთუხუცესის და მოლარეთუხუცესის მაღალი თანამდებობები დაიკავეს. დავით-გარეჯის მონასტრის 1590 წლით დათარიღებულ სიგელში მოხსენებულია კახეთის სამეფოს სახლთუხუცესი იასონ ჭავჭავაძე, რომელსაც მონასტრისათვის შესაწირავი მიუძღვნია: «მე, ჭავჭავაძემ სახლთუხუცესმან, პატრონმან იასონ, შემოგწირე და მოგახსენე გრემს მსახლობელი ჩვენინასყიდი ერთი კვამლი ურია აფია და მისნი შვილნი. მათისა სამართლიანისა ნასყიდისა და უსყიდისა მამულით»[12].

XVII საუკუნის ნახევრის (დაახ. 1646-1655 წწ.) ნასყიდობის წიგნში მოწმეთა შორის იხსენიება მოლარეთუხუცესი მამუკა ჭავჭავაძე: «ქ... ესე გარდაწუვეტილობისა წიგნი მოგეცით (ჩუენ) შალიკაშვილმა პატრონმა როსტომ და ჩემმა შვილმა პატრონმა ზურაბ და გიორგი თქუენ, ავალიშვილსა ალავერდელსა პატრონსა არსენის; ასე და ამა პირსა ზედა, რო მე მეფემა პატრონმა როსტომ ამოწყუეტილის იოთამის თავნელიშვილის კერძო მამული გუიბოძა სამკუიდროთ და საბოლოოთ და იმას ერთი იმერელი მოსლოდა და რხვითს მეზურეთ დაეყენებინა, აიყარა და შალვაშვილის ბახუტას დროშია ალავერდს შემოიხვეწნეს და გუიბოძეთ ფასი სრული და რითაც ჩუენი გული შესჯერდებოდა და მოგყიდეთ კენჭაძე მახარა და შვილნი მისნი და შიო, გიორგი და დათუნა, შვილიშვილნი და მომავალნი სახლისა მისისანი მოგეცით თქუენ და ძმათა ტქუენთა პატრონსა ავალსა, ქაიხოსროს, ღონეჰნასა, შვილთა მათთა ლევანს, გიორგის, იოვანეს, ზაალს, სვიმონს, ზურაბს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათარათაც გინდოდეს, ყოვლადფერით მოიხმარეთ, თქუენი მცილე არვინ იყოს დღეს და დღეის უკან თუ ქართლისაკენ წამოვიდეს, ისევე მოგართვათ. არის ამისა მოწამე თვითონ ერისთვის უმა ბანცური ივანე, ყავარდელი ყღული, სეხნია წვიმეტიძე, მეტრეველი მამუკა, გოშიძე პაპუნა, ეპეტაშვილი დვანელი გოგია, საყდროვანი დეკანოზი აბრამ და კანდელაკი, მოლარეთ უხუცესი ჭავჭავაძე მამუკა და სულ საალავერდონი. ვინცა ესე ასე არ გაგითაოს, თავადამაც რისხვს ღმერთი... და თვით დიდი წმინდა გიორგი ალავერდისა».[13]

შესაძლებელია, სწორედ ეს მოლარეთუხუცესი მამუკა ჭავჭავაძე მოიხსენიებოდეს ხალხური ლექსში, სადაც აღწერილია მისი გმირული სიკვდილი ლეკებთან ბრძოლაში:

«შენ მამუკა ჭავჭავაძე
გონიერო და ჭკვიანო,
ზღვის პირს გაზრდილო ლერწამო,
ბატონის კარს ოქმიანო,
გლეხნი გაქებენ, თავადნი,
ყეინნი კახს გეტყვიანო.
გომბორს ჯარი გადმომდგარა,
თურდოზე ჩამოდიანო,
ქვა სტირის, ქვიშა დასძახის:

მამუკას თავსა სჭრიანო,
ახალ მოვისა პერანგსა
ძაღლი ლეკები ხდიანო.
_ წინანდლის ციხევ მაღალო,
რისთვის აგაგე ტიალო,
ზედ მოწყობილო მარანო,
საწოლო ფანჯარიანო» [14]

არჩილ მეფის (1647-1713) პოემაში «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა», მოხსენიებულია ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1606-1648) თანამედროვე «გარსევან ჭავჭავაძე, გულბაათის შვილი», რომელსაც ასევე თავი გამოუჩენია ლეკებ-თან ბრძოლაში.[15]

XVII საუკუნის 50-იან წლების ერთ ისტორიულ დოკუმენტში იხსენიება ჭავჭავაძეთა წინანდლის შტოს წარმომადგენელი მამუჩი ჭავჭავაძე, რომლის შთამომავლები ცნობილნი არიან როგორც «მამუჩაშვილები»: «- ქ»კს: ტმბ [1654 წ.]: ქ. შემოგვეცილნეს ჩუენ წინ საგარეჯოველთ მთის საზღვრის ჭავჭავაძე მამუჩი და მისი ძმისწული გიორგი და გულბათ და იასონ... ფიცი ჩვენვე მოგვარ და... დავიფიცეთ ჩ»ნ ქკ»მან ქრისტეფორემ და საგარეჯოს მოურავმან ჯანდიერიშვილმა როსებ... დაიწერა ქკ»ს: ტმბ: იანვარს: ბ: ჴელითა ჭერემელ ებისკოპოზის (რუსიშვილის) ეპიფანესითა».[16]

XVIII საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში (სიგელ-გუჯრებში) ხშირად გვხვდე-ბიან თავად ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენლები. კახეთის მეფის კონსტანტინე II-ის (1722-1732) სიგელში, რომელიც დათარიღებულია 1726 წლით, იხსენიებიან: სუფრაჯი გიორგი მამუკას ძე, მეჯინიბეთუხუცესი გარსევან რამაზის ძე და მისი ძმები _ მამუჩი, სულხანი და მერაბი.[17] აქ ისიც არის აღნიშნული, რომ ჭავჭავაძეთა «მამა-პაპანი» დიდად ნამსახურნი ყოფილან საქართველოს მეფეთა კარზე. «ერთგულებასა სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს, რამე თუ მრავალნი შრომანი და ჭირნი თავს ესხნეს და მრავალ ჯერ ექსორია ქმნილ-იყვნენ უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ-მამათა და პაპათა ჩვენთა თანა». ამიტომო, _ «ხოლო აწ რომელნიცა დაშთომილ იყვენით _ შვილნი მათნი, _ უფროსნი მსახურებანი აღესრულენით, რამეთუ არა ჰრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად». «ვისმინეთ აჯა და მოხსენება და დავამტკიცეთ რაც რომ მამული მამა-პაპათა თქვენთა ჰქონოდეს იმგვარად გაგიახლებია თქვენი სამკვიდრო მამული ურიათუბი, რისაც მქონებელი იყვნეთ, წინანდალი, რისაც მქონებელი იყვნეთ, ახალკალო მთით და ბარით, მუკუზანი მთითა და ბარით, ველის ციხე, რისაც მქონებელი იყვნეთ, შილდაც, რისაც მქონებელი იყვნეთ, შალვაურს, რისაც მქონებელი იყვნეთ, ქვემო ხოდაშენს რისაც მქონებელი იყვნეთ, ილღველი როგორც გქონებოდეს, კოჭბა, როგორც გქონებოდეს, ახთალა, რაც გქონებოდეს, ენგიანი ენისელში კანდახი, თოფრა-ყალა, ყურუ-ბაღჩა, აღოზანი სულ რაც ამათი ყოფილიყოს ენისელში რაც სახელოდ გქონდებოდეს ის დაგვიმტკიცებია... ახლა ჩუენს ერთგულობასა შინა სამოურავოდ გიბოძეთ ძაგნაკორს ლაფანასშვილები გქონდეს და გიბედნიეროთ».[18]

ილიას ჭავჭავაძის პაპის მამას, ბესპაზს _ თავი გამოუჩენია ხუნძახის ხანის ნურსალ-ბეგისა და მისი 20 ათასიანი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში 1755 წელს, ყვარლის ციხის დაცვისას. როგორც მეფეების, თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის 1755 წლის წყალობის სიგელი მოწმობს, სხვა მეომრებთან ერთად, ბესპაზ ჭავჭავაძემ «რჯულის, გულისათვის თავი საყათლანოთ გადასდვა, ოცდასამი დღე ლომსავით

იბრძოდა» და ყვარლის ციხე-სიმაგრეს ალყაშემორტყმული ხუნძახის ხანი და მისი ლაშქარი სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია.

გრიგოლ ორბელიანმა პოემაში «სადღეგრძელო» წარმოაჩინა «კახეთის თვალის _ ყვარელის» გადასარჩენად თავგანწირულ გმირთა ბრძოლის ბრწყინვალე სურათი:

«რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა?
მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
ოცდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჭირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა?
. . .
გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ და ხმალ შუა გააპეს ლეკთ ძალი
და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!».[19]

თავად ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენელნი სასულიერო მოღვაწენიც იყვნენ. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის (1744-1798) მეფობის დროს სამეფო კარის მოძღვარი იყო ამბაკო გარსევანის ძე ჭავჭავაძე. მისი სახელი აღბეჭდილია ქ. თელავის სამეფო კარის ეკლესიის ვერცხლის ხომლზე: «ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთის და სხვათა მპყრობელმან მეფემან ირაკლი მეორემან გავაკეთებინეთ ჴვამლი ესე თელავის კარისა ღვთისმშობლის ეკლესიისათვის კარის წინამძღვრობასა ამბაკო მისისა ჭავჭავაძისასა... წელსა ჩყპგ (1783წ.)».[20]

თავად ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოს წარმომადგენელმა, ილია ჭავჭავაძის პაპამ, პაატა ბესპაზის ძემ 1792 წელს თავი გამოიჩინა, რათა სოლომონ მეორეს ხელმეორედ დაებრუნებინა იმერეთის სამეფო ტახტი. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წიგნში _ «ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა» _ წერს: «ამას (პაატა ბესპაზის ძეს _ ი.ბ.) მიანდო მეფემან ირაკლი გამოყვანა 900 ლეკისა და სარდლობაცა იმერეთისაკენ მუნ მისრულთა ლეკთა, შესაწევნელად ქართველთა ჯარისა, ოდეს დასვეს მეფედ სოლომონ».[21]

მეფე გიორგი მეთორმეტემ 1800 წელს პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძეს უბოძა ხუთასისთაობა გაღმამხარის, ბახტრიონიდან მოკიდებული გავაზამდე. სიგელში ნათქვამია: «ეცადე ერთგულად გვემსახურო, სანაცვლად ჩვენგან წყალობას ელოდეო. როცა ჯარი დაგვჭირდება, შენ უნდა გამოიყვანო და განაგოო. დაწესებულ ჯამაგირისა და ულუფას ჩვენგან მიიღებო».[22]

მეფე ერეკლე II-ის ეპოქას მიეკუთვნება სახელმწიფო მოღვაწე, ქართველი დიპლომატი, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩი რუსეთის საიმპერატორო კარზე _ თავადი გარსევან ჭავჭავაძე.[23] 1783 წლის 24 ივლისს, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა ელჩმა, გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს.[24] 1784-1801 წწ. იგი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის იმპერატორის კარზე. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი მის შესახებ წერდა: «ჰაზრი მისი იყო ემსახურა მამულისათვის, ჰფიქრობდა მეფისათვის და დამშვიდებისათვის აღრეულთა ქართველთა». იონა მეუნარგიას სიტყვით: «გარსევან ჭავჭავაძე იყო მწიგნობარი, მას ჰქონდა ყოველგვარი მისი დროის განათლება. იცოდა რუსული ენა და სასახლეში უპირველესი ადგილი ეჭირა... საქართველოს თავად-აზნაურობაში გარსევანი იყო ყოველთაგან პატივცემული, და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველობასთან დიდი განწყობილება ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ერეკლემ ის პირველ ელჩად აირჩია ისეთ მძიმე საქმეში».

მეფე ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ (1798 წ.), გარსევან ჭავჭავაძე მისი მემკვიდრის მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) დროსაც განაგრძობდა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩის მოვალეობის შესრულებას რუსეთის იმპერატორის კარზე.

გარსევანის ვაჟის, რომანტიკოსი პოეტის _ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ქართული საზოგადოებრივ- კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო როგორც წინანდალში, ასევე თბილისში, სადაც თავს იყრიდნენ საქართველოში მყოფი რუსი და ევროპელი მოღვაწენი.

და ბოლოს, თავად ჭავჭავაძეთა შთამომავლები დღეს ცხოვრობენ და მოღვაწეობენ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

**იოსებ ბიჭიკაშვილი**

## წყაროები და ლიტერატურა


1. ვახუშტი «აღწერა სამეფოსა საქართველოსა» წიგნში: «ქართლის ცხოვრება», ტ.IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.35
2. იოანე ბაგრატიონი «შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა» თბ., 1997, გვ.43; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი S-3729, ფ.27ა (ხელნაწერი)
3. თ.ჟორდანია «ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა» ტ.II, თბ., 1897, გვ.244
4. ივ.ჯავახიშვილი მას მოიხსენიებს ფარიდონად იხ. მისი «ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა» თბ., 1926, გვ.156
5. თ.ჟორდანია «ქრონიკები...» დას. ნაშრ. ტ.II, გვ.244
6. გრ.ყიფშიძე «ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია» იხ. წიგნში: ილ.ჭავჭავაძის თხზულებანი. მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, თბ., 1914, გვ.II
7. იოანე ბატონიშვილი «კალმასობა» კ.კეკელიძისა და ალ.ბარამიძის რედაქციით თბ., 1936, გვ.129
8. «ფშაური ლექსები» შეკრებილი დ.ხიზანიშვილის მიერ. თბ., 1887, გვ.239; ი.ბეჟანიშვილი «ჭავჭავაძეთა ერთი შტო თიანეთში» გაზ. «ახალი თიანეთი», № 30 (15 მარტი), თიანეთი, 1966, გვ.4
9. ამბ.გაჩეჩილაძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის იხ. წიგნში: ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953; ს.ცაიშვილი «ილია ჭავჭავაძის გვარის ისტორიიდან» წიგნში: «წინამორბედნი და თანამედროვენი» თბ., 1986, გვ. 50-62; რ.თოფჩიშვილი «ჭავჭავაძეთა გვარის ისტორიისათვის» გაზ. “ლიტერატურული საქართველო” № 31 (2 აგვისტო), თბ., 1985, გვ.11
10. თ.ჟორდანია «ქრონიკები...» დას. ნაშრ. ტ.II, გვ.334
11. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ტ.1. ნ.ბერძენიშვილის რედაქციით თბ., 1940, გვ.360
12. ს.კაკაბაძე ისტორიული საბუთები, III თბ., 1913, გვ.82
13. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ..., ტ.1. დას. ნაშრ. გვ.366-367
14. «ხალხური პოეზია» შეკრებილი ვ.კოტეტიშვილის მიერ. თბ., 1934, გვ.241
15. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული. თბ., 1999, გვ.310-311
16. თ.ჟორდანია. ქრონიკები.., დას. ნაშრ. ტ.II, გვ.467.

17. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცია), ფ.214, აღწერა 1, საქმე №837, ფ.262.
18. (სცია), ფ.214, აღწერა 1, საქმე №837, ფ.262.
19. გრიგოლ ორბელიანი თხზულებათა სრული კრებული აკ.გაწერელიასა და ჯ.ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1959, გვ.95-96
20. ე.თაყაიშვილი არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. ტ.1. თბ., 1907, გვ.243
21. პლატონ იოსელიანი «ცხოვრება გიორგი მეცამეტისა» აკ.გაწერელიას რედაქციით თბ., 1936, გვ.263
22. სცია, ფ.213, აღ.1, საქმე №106, ფ.9-10.
23. ზ.ცქიტიშვილი გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ., 1982
24. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ. თბ., 1983, გვ.56

შენიშვნა: – R – სამეფო შტოს წარმომადგენლები.

ნუსხა I*




* ნუსხა I შეადგინა იოსებ ბიჭიკაშვილმა

* ნუსხა I შეადგინა იოსებ ბიჭიკაშვილმა

1. როშნია ჭავჭავაძე (ი1470);

2/1. ზაალ როშნიას ძე (ი1517-1529);

3/1. დასტან როშნიას ძე (ი1517-1529);

4/1. მანუჩარ როშნიას ძე (ი1517-1529);

5/1. გიორგი როშნიას ძე (ი1517-1529);

6/1. (ვაჟი) როშნიას ძე - იხ. 1) თ. ჟორდანია ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ტ.II. ტფ., 1897, გვ.334; 2) ჯ. ლომაშვილი ეტიუდები თბ., 1984, გვ.123-124.

7/5. გარსევან გიორგის ძე (ი1540-1584) - იხ. 1) თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ.II., გვ.334; 2) ჯ. ლომაშვილი ეტიუდები თბ., 1984, გვ.123-124; 3) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.219-220; 4) დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ნ.ბერძენიშვილის რედაქციით ტ.I. თბ., 1940, გვ.360

8/5. ბეჟან გიორგის ძე (ი1540-1570) - იხ. 1) თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ.II., გვ.334; 2) ჯ. ლომაშვილი ეტიუდები თბ., 1984, გვ.123-124; 3) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.219-220.

9/7. იასონ გარსევანის ძე (ი1590), სახლთუხუცესი - იხ. 1) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.220-221; 2) ს. კაკაბაძე "ისტორიული საბუთები", წ. 3. თბ., 1913, გვ.82; 3) ჯ. ლომაშვილი ეტიუდები თბ., 1984, გვ.127; 4) ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მეგზური ა.იოვიძის რედაქციით, თბ., 1947, გვ.44.

10/7. გულბაათ გარსევანის ძე (ი1600) - იხ. 1) "არჩილიანი", ტ.2. ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით თბ., 1937, გვ.86-87; 2) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.222.

11/9. მამუკა იასონის ძე (ი1639-1655), მოლარეთუხუცესი - იხ. 1) დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან..., ტ.I. დასახელებული ნაშრომი, გვ.366-367; 2) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.220; 3) კრებული «ხალხური პოეზია» თბ., 1934, გვ.241.

12/10. გარსევან გულბაათის ძე (ი1630-1640) - იხ. 1) არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, 1999, გვ.310-311.

13/10. მამუჩი გულბაათის ძე (ი1646-1682) -მისი შთამომავლები XVIIIს-ის ისტორიულ საბუთებში ხანდახან «მამუჩიშვილებად» იხსენიებიან იხ. 1) თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ.II., გვ.467; 2) ჯ. ლომაშვილი ეტიუდები თბ., 1984, გვ.124.

14/10. მამუკა გულბაათის ძე - იხ. 1) თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ.II., გვ.467; 2) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.223.

15/11. ფარემუზ მამუკას ძე (ი1642-1682) - იხ. 1) ჯ. ლომაშვილი ეტიუდები თბ., 1984, გვ.129.

16/12. გულბაათ გარსევანის ძე (ი1654);

17/12. იასონ გარსევანის ძე (ი1654-1682);

18/12. სეფედავლე გარსევანის ძე (ი1682). - იხ. 1) თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ.II., გვ.467.

**19/14. გიორგი მამუკას ძე** (o1726) - იხ. 1) საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცია), ფ.214, აღ.1, საქმე №837, ფ.262; 2) თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ.II., გვ.467; 3) ლ. ასათიანი რჩეული ნაწერები ტ.I. თბ., 1958, გვ.223; 4) Списки титулованным родам и лицам Российской империи Спб., 1892, стр.94-96.

შენიშვნა: o _ საბუთებში **ჩანს** ამ წლებში.

**VI** თაობა — თავადი ფარემუზ ჭავჭავაძე 15-1
o 1642-1682

ნუსხა II
(ყვარელი)

**VII** პაპუა[2] — პაატა[3] "დიდი" — ბესპაზ[4] o 1755 — მელქისედეკ[5] o 1739-1750 — მარიამ[6] o 1750

**VIII** იოსებ[7] (იესე, ლუთ ვალი ხანი) o 1703-1722 — იხ. ნუსხა III
ბესპაზის შთამომავლობა: იხ. ნუსხა IV
სვიმონ[8] o 1750

4/1. ბესპაზ ფარემუზის ძე (o1755-1777) - თავი გამოიჩინა 1755წელს ნურსალ-ბეგის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში.
7/2. იოსებ (იესე, ლუთ ვალი ხანი) პაპუას ძე – კახეთის მეფემ, დავით მეორე იმამყული-ხანმა (1678-2.11.1722) გაგზავნა სპარსეთში შაჰ სულთან ჰუსეინის სამსახურში, სადაც იძულებული გახდა მიეღო ისლამი და გამოეცვალა სახელი.


VIII
თაობა როშნიასაგან
თავადი იოსებ (იესე) პაპუას ძე ჭავჭავაძე[7-1]
(ლუთ ვალი ხან)
ნუსხა III
(ყვარელი)
IX
მელქისედეკ[2]
1766-1839
X
ნოშრევან[3]
1796-1848
სალომე[4]
1798-1860
ზურაბ[5]
1800-1845
ეკატერინე[6]
1826-1891
გიორგი[7]
1829-1900
მარიამ (მაია)[8]
1835-?
ეფემია[9]
1836-?
XI
სოფიო[10]
?-1843
იესე[11]
1824-1898
დარია[12]
1827-1847
ზაალ[13]
1835-1919
ნიკოლოზ[14]
1829-1897
ელისაბედ[15]
(ბებე)
1834-1897
თინათინ[16]
1835-1875
მელქისედეკ[17]
(მიხეილ)
1839-1877
ივდით[18]
(ივლიტა)
1855-1910
მელანია[19]
(მალუცა)
1857-1941
ირაკლი[20]
1860-1930
ივანე[21]
1861-1905
ალექსანდრა[22]
1864-1940
მელქისედეკ[23]
1868-1890
გიორგი[24]
1872-1911
XII
ნინო[25]
1871-?
ალექსი[26]
1873-1919
ელენე[27]
(ლოლა)
ნიკოლოზ[28]
1866-1920
გიორგი[29]
(იური)
1868-1912
რაფიელ[30]
1876-?
ირინე[31]
1892-1948
ირაკლი[32]
1893-?
მარიამ[33]
(მერი)
1895-1980
თამარ[34]
1896-1968
მელქისედეკ[35]
(მალხაზ)
1895-1937
ნინო[36]
1897-1959
მელანია[37]
1899-1943
მარიამ[38]
1902-?
თამარ[39]
1899-?
მარიამ[40]
1905-?
XIII
ზურაბ[41]
1897-1933
მიხეილ[42]
1898-1965
XIV
ნიკოლოზ[43]
1923-1997
ირინე[44]
1924-1997
ნიკოლოზ[45]
დ.1933
დარეჯან[46]
დ.1941
ზურაბ[47]
დ.1943
მიხეილ[48]
დ.1945
XV
ზურაბ[49]
1953-1989
ნინო[50]
დ.1957
ანა[51]
დ.1964
ელისაბედ[52]
დ.1966
მიხეილ[53]
დ.1968
ანასტასია[54]
დ.1985
მიხეილ[55]
დ.1975
ანდრია[56]
დ.1996
XVI
ეკატერინე[57]
დ.1975
ნინო[58]
დ.1977
ქეთევან[59]
დ.1983
ანა[60]
დ.1995
ალექსანდრე[61]
(სანდრო)
დ.1995

**2/1. მელქისედეკ იოსების ძე** (1766-25.04.1839), დაბადებული იყო სპარსეთში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აღასრულა მამის დანაბარები და მოინათლა მეფე ერეკლე II-ის მიერ 1798 წ. **R** I. სოფიო რუსიშვილი; **R** II. 1822 მელანია, თავად იოსებ ანდრონიკაშვილის ასული (1801-1851).

**3/2. ნოშრევან მელქისედეკის ძე** (1796-14.04.1848), პრაპორშჩიკი **R** 1813 ნინო, თავად ასლან ვაჩნაძის (ონანო) ასული (?-1872), (ს.კოლაგი).

**4/2. სალომე მელქისედეკის ასული** (1798-27.06. 1860); «სალომე მელქისედეკოვნა ანდრონიკოვისა»-ს მინაწერი შემორჩენილია ილია ჭავჭავაძის დედის, მაგდან ბებურიშვილი -ჭავჭავაძის ნამზითვი კრებულის 92v-93r გვერდებზე (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის(s) კოლექცია ტ.I,თბ; 1959, საბუთი №62 გვ.70) **R** 15.05.1821 თავადი პაატა მზეჭაბუკის ძე ანდრონიკაშვილი (1799-1840), (ს.ქოდალო). მათი ვაჟი, ალექსანდრე დაქორწინდა დარეჯან (ხოხობდარო) ლევანის ასულ ჭავჭავაძეზე (იხ. ნ. X, 8/4). სალომე ჭავჭავაძისა და პაატა ანდრონიკაშვილის შთამომავლები არიან მსახიობები: ნატო ვაჩნაძე და კირა ანდრონიკაშვილი.

**5/2. ზურაბ მელქისედეკის ძე** (1800-30.06. 1845), შტაბს-კაპიტანი. 1832 წლის შეთქმულების თანამგრძნობი (იხ. გ. გოზალიშვილი «1832 წლის შეთქმულება», ტ. II, თბ; 1970 წ; გვ. 62, 383, 420; ტ. III, თბ. 1976 წ.; გვ. 28). **R** I. 1825 ანა, თავად ასლან ორბელიანის ასული (1809-1839); **R** II. ეკატერინე N. (1814-12.04.1844).

**6/2. ეკატერინე მელქისედეკის ასული** (1826-15.08.1891) **R** 12.11.1842 თავადი გიორგი ედიშერის ძე ჩერქეზიშვილი (1819-?), (ს.თოხლიაური).

**7/2. გიორგი მელქისედეკის ძე** (1.12.1829-4.02.1900) **R** 1852 თამარი, თავად ივანე ვახვახიშვილის ასული (1839-1898), (ს.კურდღელაური).



გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 7/2) მეუღლესთან
თამარ ივანეს ასულ ვახვახიშვილთან ერთად.



თამარ ივანეს ასული ვახვახიშვილი –გიორგი მელქისედეკის
ძე ჭავჭავაძის (ნ.III, 7/2) მეუღლე



გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 7/2) ცოლთან,
თამარ ივანეს ასულ ვახვახიშვილთან და შვილებთან
ერთად XIX ს. 70 – იანი წლები.

**8/2. მარიამ (მაია) მელქისედეკის ასული** (1835-?) **R** 1855 თავადი სოლომონ ნოშრევანის ძე ჯორჯაძე (1823-1862) (ს. გრემი).

**10/3. სოფიო ნოშრევანის ასული** (?-20.04.1843 **R** 23.01.1839 თავადი გიორგი დავითის ძე ჯორჯაძე (1819-1886), (ს. ენისელი). (II. ეკატერინე ათანასეს ასული მაყაშვილი).

**11/3. იესე ნოშრევანის ძე** (4.11.1824-18.08. 1898, გარდაიცვალა კოჯორში). 1850 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით (კ. მეძველია «თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები», ნაწ. I, თბ. 1959, გვ. 156). იასე ჭავჭავაძე იყო «დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი» (Действительный статский советник), საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი. დაკრძალეს 21 აგვისტოს ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში («ივერია», 1898, №178, 20აგვისტო). დაცულია იასე ჭავჭავაძის 1892 წლით დათარიღებული წერილი ალექსანდრე ყიფშიძისადმი (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-1654).

**12/3. დარია ნოშრევანის ასული** (1827-1847) **R** თავადი ივანე იოსების ძე შალიკაშვილი (1813-1866) (II. დარეჯან (დარია) გულბაათის (პანტელეიმონის) ასული ჭავჭავაძე. იხ. ნ. VIII, 9/4). დარია ნოშრევანის ასულისა და ივანე შალიკაშვილის ვაჟი - იოსები დაიბადა 1847 წლის 10 აპრილს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დარია ამ მშობიარობას გადაჰყვა. იოსებ შალიკაშვილს _ «სოსიკო შალიკოვს» _ ხშირად ახსენებს წერილებში

ილია ჭავჭავაძე ოლღა გურამიშვილისადმი (იხ. ილ. ჭავჭავაძე, ტ. X, 1961). ილიამ და იოსებ შალიკაშვილმა ქ.შ.წ.კ.გ. საზ-ას შესწირეს ქართული ხელნაწერი წიგნები (სია იხ. გაზ. «დროება», 1880, №166, 8 აგვისტო, გვ. 2-3). იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი დაქორწინდა ნინო დიმიტრის ასულ სტაროსელსკაიაზე (ოლღა გურამიშვილის დის, ეკატერინეს ქალიშვილზე); მათი შთამომავლები არიან: ჯოზეფ-იოსებ (ოთარი) (დ. 1933) და ჯონ-მალხაზ (დავითი) (დ. 1936) შალიკაშვილები.

**13/3. ზაალ ნოშრევანის ძე** (11.10.1835-15.04.1919). 1859 წ. გაიქცა ერზრუმში, სადაც მიიღო მუსულმანობა. მსახურობდა ქუთაისის გუბერნიაში, იყო: იმერეთის გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე, «სტატსკი სოვეტნიკი», ქუთაისის პოლიცმეისტერი (იხ. Кавказский календарь, 1879, გვ.27; 1886, გვ.34 1893, გვ.97), შემდგომ ცხოვრობდა პეტერბურგში, ხოლო XXს-ის 10-იან წლებში _ ილია ჭავჭავაძის ოჯახში. ჯერ კიდევ 1873წ. ილია წერდა თავის მეუღლეს: «ჭავჭავაძე ზალიკო მოვიდა რუსეთიდამ...» (იხ. ილია, მოგონებები გარდასულ დღეთა, თბ. 1987, გვ.200, 475; ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.X, 1961, გვ.280) R ევდოკია, თავად ალექსი ნესვიცკის ასული.



ზაალ (ზალიკო) ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 13/3)

**14/5. ნიკოლოზ ზურაბის ძე** (20.12.1829-9.03.1897), "დიდი ნიკო". სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. სამხედრო სამსახურშია 1847 წლიდან. წოდებები: პრაპორშჩიკი (21.04.1850 წ.), პოდპორუჩიკი (22.05.1852 წ.), პორუჩიკი (5.06.1853 წ.). თურქებთან ომის დროს (1853-1856 წწ.) კახეთის მილიციის საცხენოსნო ასეულის მეთაურია; დაიჭრა 1854 წ.; თავი ისახელა თურქების ჯარისაგან გურიის დაცვის დროს, დამსახურებისთვის გადაყვანილ იქნა გვარდიაში. გახდა: შტაბს-როტმისტრი (8.11.1859 წ.), როტმისტრი (3.04.1860 წ.), პოლკოვნიკი (30.08.1863 წ.). დასავლეთ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორია - 10.12.1866 -25.10.1876 წწ., გენერალ-მაიორი - 26.11.1871 წ., ჩაირიცხა მისი უდიდებულესობის ამალაში (1872 წ.). მცირე ხნით ხელმძღვანელობდა კავალერიის დივიზიის ნაკრებს თურქეთის საზღვარზე (3.06.-7.07.1877 წ.), შემდეგ დაღესტნისა და იქ მყოფი ჯარის უფროსია (10.01. 1880-1.07.1883 წწ.). გახდა: გენერალ-ლეიტენანტი (30.08.1881 წ.), კავალერიის გენერალი (1896 წ.), გენერალ-ადიუტანტი. იყო: წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი (1860 წ.); წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენის მფლობელი ბაფთით და მახვილით (1861 წ.), უბოძეს: წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი საიმპერატორო გვირგვინით (1864 წ.), წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენი, წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი (1863 წ.), წმ. სტანისლავის (1871 წ.), წმ. ანას (1875 წ.) პირველი ხარისხის, წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის (1883 წ.), თეთრი არწივის (1887 წ.), წმ. ალექსანდრე ნეველის (1890 წ.) ორდენები. დაჯილდოებული იყო, აგრეთვე, ლომის და მზის I ხარისხის სპარსული ორდენით (1879 წ.). დაღესტნის გუბერნატორად ყოფნისას, მთიელთა შორის სარგებლობდა დიდი პოპულარობით, აწარმოებდა საირიგაციო სამუშაოებს. გარდაცვალების შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ მისი კუბო ხელით ჩაიტანა ყვარელში. სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო აკაკი წერეთელმა, წარმოსთქვა სიტყვა და დაამთავრა ლექსით «იყო და გაჰქრა» (იხ. «ივერია», 1897, №47, 12 მარტი). დაკრძალულია ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. **R** 27.07.1846 ანა, თავად დავით ერისთავის (არაგვის) ასული (1833-18.04.1878) _ გარდაიცვალა არდაღანში. დაკრძალულია იქვე. მის ნეკროლოგს ხელს აწერს რაფიელ ერისთავი, ლექსი უძღვნა ბარბარე ჯორჯაძემ («დროება», 1878, №173, 27 აგვისტო, გვ.1-2).



ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 14/5)

**15/5. ელისაბედ (ბებე) ზურაბის ასული** (18.03.1834-1897) **R** 1852 თავადი ზურაბ ადამის ძე ანდრონიკაშვილი (1820-1871) (ს. ფხოველი).

**16/5. თინათინ (თიკო) ზურაბის ასული** (23.09.1835-1875) **R** 4.11.1856 თავადი გიორგი (ასლან) დიმიტრის ძე ავალიშვილი (1821-1885), (ს. ჩუმლაყი). იოსებ ანდრონიკაშვილის მოგონებების მიხედვით, თინათინ (თიკო) ჭავჭავაძე და გიორგი (ასლან) ავალიშვილი ილია ჭავჭავაძის მოთხრობის _ «კაცია-ადამიანი?!»-ს პერსონაჟების _ დარეჯანისა და ლუარსაბის პროტოტიპები არიან (იხ. «ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში», გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა, თბ. 1987, გვ. 182). დაცულია თინათინ ჭავჭავაძის მზითვის სია (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-19534).

**17/5. მელქისედეკ (მიხეილ) ზურაბის ძე** (16.07.1839-3.01.1877) **R** ნადეჟდა ნიკოლოზის ასული შატიხინა (1842-?) _ სოფ. ყვარელში, 1887 წელს დაწერა «ჩემი მოგონებანი» (რუსულად). ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში.

**18/7. ივდით (ივლიტა) გიორგის ასული** (1.01.1855-11.09.1910 დაკრძალულია მოსკოვში) **R** 9.02.1870 თავადი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ათანასეს ძე მაყაშვილი (1839-1911), (ს. იყალთო). მათი შვილიშვილები არიან: ივდით მაყაშვილი _ ნიჟარაძისა, რევაზ მაყაშვილი, ივდით, თამარ (თამი), ნანო კვინიტაძეები.



ივდით გიორგის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 18/7) მეუღლესთან, ვლადიმერ ათანასეს ძე მაყაშვილთან და შვილებთან – მარცხნიდან ელენე, გიორგი, მარიამ (ხელში უჭირავს ძიძას) მაყაშვილებთან ერთად.

**19/7. მელანია (მალუცა) გიორგის ასული** (7.03.1857-1941) **R** 11.01.1876 თავადი ივანე დავითის ძე ანდრონიკაშვილი (1841-1904).



მელქისედეკ გიორგის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 23/7) დებთან ერთად, მარცხნიდან:
ალექსანდრა (ზის. ნ. III, 22/7), მელანია (ნ.III, 19/7).

**20/7. ირაკლი გიორგის ძე** (1.06.1860-1930) R 2.06.1891 ელენე, თავად გიორგი მაყაშვილის ასული (1875-1947) (ს. რუისპირი); ელენე იყო ანასტასია რამაზის (რომანის) ასულ ჭავჭავაძის ქალიშვილი (იხ. შემდგომ, ნ. IX, 24/9).



ირაკლი გიორგის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 20/7) მეუღლესთან, ელენე გიორგის ასულ მაყაშვილთან (ანასტასია რამაზის  (რომანის) ასულ ჭავჭავაძის ქალიშვილი (იხ. ნ. IX, 24/9) ერთად

**21/7. ივანე გიორგის ძე** (1.06.1861-9.06.1905) **R** ანა, თავად ზაალ ვაჩნაძის ასული (ზებურო) (1867-?), (ს.კარდანახი).

**22/7. ალექსანდრა (საშა) გიორგის ასული** (10.04.1864-1940) **R** 6.02.1898 აზნაური სარ-დიონ (ვალერიან) სარდიონის ძე  ალექსი-მესხიშვილი (1863-1939) _ სამხედრო ექიმის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილის (1814-1863) ვაჟი, მსახიობისა და რეჟისორის, ლადო მესხიშვილის (1857-1920) ძმა; ალექსანდრა გიორგის ასულ ჭავჭავაძისა და სარდიონ ალექსი-მესხიშვილის შვილიშვილები არიან: ლალი ალექსი-მესხიშვილი, დალი და ნიკოლოზ ბაქრაძეები.



ალექსანდრა გიორგის ასული ჭავჭავაძე (ნ. III, 22/7) მეუღლესთან, სარდიონ სარდიონის ძე ალექსი–მესხიშვილთან ერთად.



მარცხნიდან: ალექსანდრა (საშა) გიორგის ასული ჭავჭავაძე (ნ. III, 22/7) დისწულებთან: მარიამ (გიორგი ივანეს ძე კვინიტაძის მეუღლე) და ელენე (ივანე ალექსის ძე პრეობრაჟენსკის მეუღლე) მაყაშვილებთან ერთად.

**24/7. გიორგი გიორგის ძე** (10.02.1872-7.12.1911) **R** 11.10.1897 პელაგია, აზნაურ ანდრია ონიკაძის ასული (1876-?).

**27/17. ელენე (ლოლა) მელქისედეკის (მიხეილის) ასული R** ვასილი პეტრეს ძე სუხოდოლსკი (Василий Петрович Суходольский (იხ. ს. ჩიჯავაძე-კედია «ნასმენ-ნახული», თბ. 2001, გვ. 112-113). 1902 წლის 3 იანვარს ელენე ჭავჭავაძე დანიშნეს სოფელ ყვარლის სახალხო ბიბლიოთეკის მზრუნველად. მისი ინიციატივით სახალხო ბიბლიოთეკისათვის გადაცემულ იქნა ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის სახლი (იხ. «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება», ა. იოვიძის, შ. ჩხეტიას და შ. ცაგარეიშვილის საერთო რედაქციით, თბ. 1953, გვ. 92, საბუთი №806); ელენე იყო თეატრალი; მეუღლესთან ერთად მატერიალურად ეხმარებოდა კოტე მარჯანიშვილს «თავისუფალი თეატრის» ჩამოყალიბებაში (იხ. კ. მარჯანიშვილი, «მემუარები, წერილები», თბ. 1947, გვ. 117, შენიშვნა №58; «ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში», გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა, თბ. 1987, გვ. 35-38)

**28/17. ნიკოლოზ მელქისედეკის (მიხეილის) ძე** (1866-23.05.1920) _ ცნობილია სახელით «პატარა ნიკო». დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და ნიკოლაევის სა-

კავალერიო სასწავლებელი; კორნეტი. მსახურობდა დიდი თავადის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (რომანოვის) სახ. ტვერის დრაგუნთა 43-ე პოლკში (შემდეგ კი ტახტის მემკვიდრის 16-ე პოლკი, 9.08.1888 წ.); პორუჩიკი (25.03. 1892 წ.), შტაბს-როტმისტრი (15.03.1898 წ.), როტმისტრი (16.06.1904 წ.), პოდპოლკოვნიკი (26.02. 1912 წ.); იყო წმინდა სტანისლავის (14.07.1902 წ.) და წმ. ანას (11.04.1907 წ.) მესამე ხარისხის ორდენების კავალერი. შემდგომში გახდა პოლკოვნიკი და ზემოთ დასახელებული პოლკის უფროსი. ცხოვრობდა თბილისში. პირველი მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა ყარსის ბრძოლაში (1914 წ.), მიღებული აქვს ბევრი საბრძოლო ჯილდო, მათ შორის წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენი. გახდა გენერალ-მაიორი. გარდაიცვალა ომში მიღებული ჭრილობებისგან, დაკრძალულია ყვარელში. დაქორწინებული იყო ეკატერინე, თავად მიხეილ სოლომონის ძე ციციშვილის ასულზე (1876-?).



ნიკოლოზ მელქისედეკის (მიხეილის) ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 28/17) მეუღლესთან, ეკატერინე მიხეილის ასულ ციციშვილთან და ვაჟებთან, მიხეილთან (ნ.III, 42/28) და ზურაბთან (ნ.III, 41/28) ერთად.

**29/17. გიორგი (იური) მელქისედეკის (მიხეილის) ძე** (1868-13.12.1912). საზოგადო მოღვაწე; 1882 და 1911 წლებში უმასპინძლა ყვარელში მყოფ აკაკი წერეთელს (იხ. ნ. გურგენიძე, ილ. გორგაძე «აკაკი წერეთელი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე»,

თბ; 1989, გვ. 154, 484). R 31.07.1897 ელენე (პელაგია) ივანეს ასული როსტომაშვილი (1880-?) _ ავტორია მეტად საინტერესო მოგონებისა «ილია და ჩვენი ოჯახი» (იხ. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში, გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა. თბ; 1987, გვ. 9-43).



გიორგი (იური) მელქისედეკის (მიხეილის) ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 29/17) და ვალერიან გუნია 1897წ.

**31/20. ირინე ირაკლის ასული** (1892-8.03.1959). პროფესიით ქიმიკოსი. R ვალერიან ივანეს ძე გაფრინდაშვილი (1888-1941) _ პოეტი, «ცისფერყანწელთა» ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი.




მარცხნიდან: ექიმი ქეთევან ალექსანდრეს ასული კანდელაკი – ვალერიან გაფრინდაშვილის დის, ბარბარეს ქალიშვილი, ნანა ვალერიანის ასული გაფრინდაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ზემოთ: ირა ჭავჭავაძე (ნ.III, 31/20), ვალერიანის დაჲ – ნინო გაფრინდაშვილი

ბორჯომი 1938წ.



მარცხნიდან: ირინე (ნ.III, 31/20) და მერი (ნ.III, 33/20) – ირაკლი გიორგის ძე ჭავჭავაძის ასულნი

**33/20 მარიამ (მერი) ირაკლის ასული** (1.01.1895-10.10.1980). ექიმი-პედიატრი; ავტორია მოგონებისა ვალერიან გაფრინდაშვილის შესახებ (იხ. ჟ. «მნათობი» 1977, №5, გვ. 183-188; «Литературная Грузия», 1989, №1, გვ. 177-185). **R** გრიგოლ სევერიანის ძე ტორაძე (1888-1961) _ მეფის არმიის ოფიცერი, პორუჩიკი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე; მათი ვაჟია მუსიკისმცოდნე _ გულბათ ტორაძე.



მარცხნიდან: თამარ (ნ.III, 34/20) და მერი (ნ.III, 33/20)
ირაკლის ასულნი ჭავჭავაძენი.



მარიამ (მერი) ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 33/20) მეუღლესთან – გრიგოლ ტორაძესთან და ვაჟთან – გულბათთან ერთად.

**34/20. თამარ ირაკლის ასული** (19.10.1896-20.04.1968, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში) _ მსახიობი, საქართველოს სსრ არტისტი (1943 წ.). სწავლობდა: ხარკოვის ინსტიტუტში ფილ. ფაკ-ზე, პარალელურად - პ.ლებედინსკის თეატრ-სტუდიაში, 1919-1921 წწ. - თბილისში, ნ.მიხაილოვსკის, შემდეგ - ნ.ხოდოტოვის დრამატულ სტუდიაში. 1920 -1928, 1942-1964 წწ. - რუსთაველის თეატრის მსახიობია. მონაწილეობდა მეორე სახელმწიფო თეატრის (ქუთაისი, 1928 წ., 1933 წ-დან - კ.მარჯანიშვილის სახ. თეატრი) ჩამოყალიბებაში. 1928-1942 წწ. მოღვაწეობდა ქუთაისში, 1964-1968 წწ. - სოხუმში; შესრულებული აქვს ლაურენსიას (ლოპე დე ვეგას "ცხვრის წყარო"), სოლომეას (უიალდის "სოლომეა"), ლამარას (გრ.რობაქიძის "ლამარა"), ბეატრიჩეს (შელის "ბეატრიჩე ჩენჩი"), ემილიას (შექსპირის "ოტელო"), მარგარიტას (ალ.დიუმაშვილი "მარგარიტა გოტიე"), იოკასტეს (სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე"), სანათას (ვაჟაფშაველას "ბახტრიონი") და სხვ. როლები. 1928 წ-დან გადაიღის ფილმებში «დინა ძაძუ», «ქეთო და კოტე». დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით (დაწვრ. იხ. ნ. შვანგირაძე «თამარ ჭავჭავაძე», თბ; 1973). ლექსები უძღვნეს ვალერიან გაფრინდაშვილმა («ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ») და გრიგოლ ცეცხლაძემ. ამ უკანასკნელის ლექსის ავტოგრაფი

(ხ-26610), დათარიღებული 1923 წლით, ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში. R I. თავადი მიხეილ ფარნაოზის ძე ლორთქიფანიძე (1895-1945), (ს. გუმათი); R II. პეტრე (პიერ) კალისტრატეს ძე კობახიძე (1906-1963) _ მსახიობი, პოეტი; ამ უკანასკნე-ლისაგან შეეძინა ქალიშვილი ელენე (ლიკა), რომელიც ჭავჭავაძის გვარს ატარებს. **ლიკა ჭავჭავაძე** დაიბადა თბილისში, 1937 წლის 25 მაისს; დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშუალო სკოლა; სწავლობდა რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში  სამსახიობო ფაკულტეტზე; 1956 წელს ჩარიცხეს რუსთაველის სახ. თეატრის დასში. შესრულებული აქვს: ნინოს (როზოვი «ხალისიანი მეზობლები»), როზიტას (კ. ბუაჩიძე «ეზოში ავი ძაღლია»), ამანდას (გ. მდივანი «ტერეზას დაბადების დღე»), ტატიანას (ლავრენევი «რღვევა»), ლიუსის (ბრეხტი «სამგროშიანი ოპერა»), ქალბატონ შინის (ბრეხტი «კეთილი ადამიანი სეჩუანიდან»), ლირსას (პ. კაკაბაძე «ყვარყვარე თუთაბერი»), მზარეული ქალის (ბრეხტი «კავკასიური ცარცის წრე»), ელისაბედის (შექსპირი «რიჩარდი») და სხვ. როლები. გადაიღეს ფილმებში: «დონ-კიხოტი» (რეჟ. რ. ჩხეიძე), «აურზაური სალხინეთში» (რეჟ. ლ. ღოღობერიძე), «მაცივარში ვიღაცა იჯდა» (რეჟ. გ. მგელაძე). 1976 წელს მიენიჭა დამსახურებული არტისტის წოდება (იხ. ლ. ყურულაშვილი «ლიკა ჭავჭავაძე», ჟ. «თეატრალური მოამბე», 1981, №2, გვ. 61-62); ჰყავს მეუღლე _ გივი ბარათაშვილი, გრიბოედოვისEსახ. თეატრის დირექტორი, ვაჟები: დავით მაცხონაშვილი _ რეჟისორი, არჩილ ბარათაშვილი _ რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი, შვილიშვილები და შვილთა-შვილი.



თამარ ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ. III, 34/20) ლაურენსია (ლოპე დე ვეგა

”ცხვრის წყარო”, კოტე მარჯანიშვილის დადგმა)



თამარ ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 34/20), სანდრო ახმეტელი, აკაკი ხორავა.



ურიელი – პიერ კობახიძე (გუცკოვი ”ურიელ აკოსტა”)




მარცხნიდან: ნანა გაფრინდაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი,

ლიკა ჭავჭავაძე,  გულბათ ტორაძე

წაღვერი 1937წ.



ლიკა ჭავჭავაძე ქალბატონ ზოიას (კარაჯალე ”დაკარგული ბარათი”

რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი) როლში.



პიერ კობახიძე შვილებთან: ბადრი, გულნარა, დავით კობახიძეებთან და

ელენე (ლიკა) ჭავჭავაძესთან ერთად

35/21. მელქისედეკ ივანეს ძე (15.06.1895-1937) R ნანა N.

36/21. ნინო ივანეს ასული (15.09.1897-1959) _ პედაგოგი R თავადი ზურაბ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (1897-1933) (ყვარელი) (იხ. 41/28).



ნინო ივანეს ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 36/21)




მარცხნიდან: I რიგი ირინე ჭავჭავაძე–გაფრინდაშვილისა (ნ.III, 31/20), ნოდარ უნაფქოშვილი, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 43/41), ზემოთ: ელენე კარგარეთელი,

ნინო ივანეს ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 36/21)

კისლოვოდსკი 1934

**41/28. ზურაბ ნიკოლოზის ძე** (1897-1933) _ სწავლობდა კადეტთა კორპუსში. იყო სამხედრო. დაიჭირეს 1924 წელს. აჯანყებაში მონაწილეობა ვერ დაუდასტურეს და გაათავისუფლეს. ხელმეორედ დააპატიმრეს 1929 წელს. 1933 წელს ისევ დააპატიმრეს, გადაასახლეს ურალში, სადაც დაიღუპა (იხ. ნიკო ჭავჭავაძე «ვისწავლოთ პიროვნებად ყოფნა», თბ.; 2002, გვ.20-21) **R** ნინო, თავად ივანე ჭავჭავაძის ასული (1897-1959), (ყვარელი).



ზურაბ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 41/28)

**42/28. მიხეილ ნიკოლოზის ძე** (13/25.07.1898-6.06.1965) _ ლეიბ-გვარდიის გრენადერ-ცხენოსანთა პოლკის კორნეტი. I მსოფლიო ომის მონაწილე. რევოლუციის შემდეგ იმ-ყოფებოდა ემიგრაციაში _ საფრანგეთში. 1947 წ. დაბრუნდა საქართველოში, დაპატიმ-რებულ იქნა და მიესაჯა 25 წელი გადასახლება. რეაბილიტირებულ იქნა 1956 წ. მისი პირველი მეუღლეა 21.07.1917 წლიდან - ანა ლაზარეს (ტიგრანის) ასული ნაზარეტი-ანი (Анна Лазаревна (Тиграновна) Назаретян) (1895-?); მეორე - 1922 წლიდან - ლუბა ვლადიმერის ასული ხვოლსონი (Любовь Владимировна Хвольсон) (29.11.1893-6.07.1984); მესამე - მარია ლევის ასული კაზენბეკი (Мария Львовна Казенбек) (1910-1988).



მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 42/28)

**43/41. ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე** (1923-1997) - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქ-ტორი, პროფესორი, საქ. მეც. აკად. წევრ-კორესპონდენტი, ქართული ესთეტიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი; პარლამენტის წევრი 1993-1996 წწ.-ში. დაიბადა ყვარელში 1923 წლის 5 მაისს. 1941-1944 წწ.-ში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, იყო რამდენჯერმე დაჭრილი. მისი ოჯახისა და საგვარეულოს მიმართ განხორ-ციელებული ბოლშევიკურ-საბჭოური რეპრესიების მიუხედავად, იყო თავდაუზოგა-ვად პრინციპული, მამაცი და შეუპოვარი, რის შედეგადაც შეძლო, საქ. მეც. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, რომელსაც 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა, თავისუფალი სიტყვის ოაზისად ექცია. მისი მეცადინეობითა და ხელშეწყობით განვითარდა ფილოსოფიის ისეთი დარგები, როგორებიცაა ანთროპო-ლოგია, აქსიოლოგია, კულტურის ფილოსოფია. გარდაიცვალა 1997 წლის 17 თებერვალს. დაკრძალულია ყვარელში, იოანე ნათლისმცემლის ჭავჭავაძეთა საგ-ვარეულო ეკლესიაში (იხ. ნიკო ჭავჭავაძე «ვისწავლოთ პიროვნებად ყოფნა», თბ. 2002) **R** თინათინ ალექსანდრეს ასული ცაგარეიშვილი (1928-1997).



ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 43/41)

**44/42. ირინე მიხეილის ასული** (1924-1997) **R** პიერ ობუანო (Пьер Обуано).

**45/42. ნიკოლოზ მიხეილის ძე** (დ.3.09.1933) - დიდი თავადის ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვის ნათლული. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი **R** 28.06.1963 ელენე (ნელი) ვიქტორის ასული ხომერიკი (დ.1.06.1941).



ნიკოლოზ მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 45/42)

**47/42. ზურაბ მიხეილის ძე** (დაიბადა საფრანგეთში 28.01.1943) _ მშობლებთან ერთად დაბრუნდა რუსეთში. დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტი. 1992 წლამდე იყო რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურის, უგანათლებულესი თავადის, ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვის წარმომადგენელი რუსეთში. დაჯილდოებულია I ხარისხის ოქროს ნიშნით, რომელზედაც გამოსახულია დიდი მთავრების ვლადიმერ კირილეს ძისა და მარიამ ვლადიმერის ასულის ვენზელები **R** ელენე ნიკოლოზის ასული პრიპისცოვა (Елена Николаевна Приписцова) (დაიბადა 12.08.1947) _ ჟურნალისტი, რუსეთის საერთაშორისო კულტურის ფონდის თანამშრომელი. ნაზოძები აქვს ოქროს ნიშანი, რომელზედაც გამოსახულია უგანათლებულესი მთავრის, ლეონიდა გიორგის ასულის ვენზელი.



ზურაბ მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 47/42) მეუღლესთან ელენე ნიკოლოზის ასულთან და ქალიშვილთან – ანასტასიასთან (ნ.III,54/47)

**48/42. მიხეილ მიხეილის ძე** (დ.1945) **R** I. ნატალია იურის ასული ბაგდოევა (Наталья Юрьевна Багдоева) (დ.1950).; **R** II. ნატალია ლეონიდეს ასული გორბატოვა (Наталья Леонидовна Горбатова) (დ.1960).

**49/43. ზურაბ ნიკოლოზის ძე** (1953-1989) - მეცნიერი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერთაგანი. დაიბადა თბილისში 1953 წლის 5 თებერვალს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქ. სსრ მეც. აკად. ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1978 წლიდან სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის პირადი მდივანია; აღადგინა და მოქმედი გახადა ბოლშევიკების მიერ დარბეული და გაუქმებული რამდენიმე ტაძარი, მათ შორის - ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესია. 1979 წლიდან სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის კოლეგიაში მუშაობდა უფროსი მეცნიერ-რედაქტორის თანამდებობაზე, 1984 წლიდან მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანის კოლეგიის სამეცნიერო ლიტერატურის განყოფილების გამგეა. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: «XII საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფია». 1989 წლის 13 ოქტომბერს სოფ. ბორითთან ავტოკატასტროფაში მოჰყვა, მერაბ კოსტავასთან და თამარ ჩხეიძესთან ერთად. გარდაიცვალა 21 დეკემბერს, საზოგადოების შეფასებით, ბურუსით მოცულ ვითარებაში. დაკრძალულია ყვარელში, იოანე ნათლისმცემლის ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესიაში (იხ. «ღმერთო, მამული უცოცხლე», ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას, თბ; 1993).



ზურაბ ნიკოს ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 49/43)

R ნანა ვიქტორის ასული ინაშვილი (დ.1953) _ პროფესიით ქიმიკოსი; სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის ცენტრის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი.



ზურაბ ნიკოს ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 49/43) მეუღლესთან, ნანა ინაშვილთან ერთად

**50/43. ნინო (ტატა) ნიკოლოზის ასული** (დ.1957) R ნუგზარ რევაზის ძე ქღენტი (დ.1956).



ნინო (ტატა)ნიკოს ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 50/43) მამასთან, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძესთან (ნ.III, 43/41) ერთად პარიზი 1990

**51/45. ანა ნიკოლოზის ასული** (დ.1964) R 1987 ნიკოლოზ სამსიდისი (შამშინი) (Николай Самсидис (Шамшин)).

**52/45. ელისაბედ (ელისო) ნიკოლოზის ასული** (დ.28.07.1966) R რამაზ ქარელიძე.

**53/45. მიხეილ ნიკოლოზის ძე** (დ.7.04.1968) R ნინო თეიმურაზის ასული ჯაფარიძე.

**55/48. მიხეილ მიხეილის ძე** (დ.18.05.1975) R ნინო ლერის ასული ბულისკირია (დ.1973).

**57/49. ეკატერინე ზურაბის ასული** _ დაიბადა 19.03.1975 თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თბილისის მე-6 საავტორო სკოლა, 1997 წელს _ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; მსახურობდა გაზეთში «კავკასიონი» სტილისტად, ლიტერატურულ გაზეთში «არილი» _ ლიტმუშაკად. 1998 წლიდან შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების ასპირანტია R მიხეილ კარლოს ძე კვიციანი (დ.1975); ჰყავთ ორი ქალიშვილი: ქეთევანი (დ.1997) და ანა (დ.1999).



ეკატერინე ზურაბის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 57/49)

**58/49. ნინო ზურაბის ასული** (დ.2.11.1977) _ 1994 წელს დაამთავრა მე-6 საავტორო სკოლა, 1999 წელს _ შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი კინოდრამატურგის სპეციალობით R გიორგი გიორგის ძე გუნია (დ.1976); ჰყავთ ვაჟი _ ზურაბ ჭავჭავაძე-გუნია (დ.1.08.1998).



ნინო ზურაბის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 58/49)



ზურაბ ჭავჭავაძე–გუნია

**59/49. ქეთევან ზურაბის ასული** (დ.12.02.1983) _ 2000 წელს დაამთავრა თბილისის მე-6 საავტორო სკოლა; ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.



ქეთევან ზურაბის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 59/49)



მარცხნიდან: ალექსანდრე (სანდრო) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 61/55) ზურაბ გიორგის ძე ჭავჭავაძე–გუნია (ნ.III, 58/49) ნიკო დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ. IX, 52/51), უკან – ქეთევან მიხეილის ასული კვიციანი – ეკატერინე ზურაბის ასულ ჭავჭავაძის (ნ.III, 57/49) უფროსი ქალიშვილი

თბილისი 2001 ოქტომბერი





მარცხნიდან: –ზი: ნინო (ტატა) ნიკოს ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 50/43), მარცხნივ უდგას ძმისწული – ნინო ძურაბის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 58/49), უკან დგანან: ელისაბედ (ელისო) ნიკოლოზის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 52/45), ნანა ინაშვილი–ჭავჭავაძისა – ზურაბ ნიკოლოზის (ნიკოს) ძე ჭავჭავაძის (ნ.III, 49/43) მეუღლე, ელენე (ნელი) ხომერიკი – ჭავჭავაძისა – ნიკოლოზ მიხეილ ძე ჭავჭავაძის (ნ.III, 45/42) მეუღლე, ნიკოლოზ მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 45/42), ეკატერინე ზურაბის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 43/41), მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 53/45), არ ჩანს – ზურაბ ნიკოლოზის (ნიკოს) ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 49/43) მის წინ დგას: მიხეილ მიხეილის ძე (ნ.III, 48/42)



ქართულ სამოსში დები – თამარ (გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე (ნ. III, 7/2) მეუღლე, სოფიო (ალექსანდრე მაკარის ძე მაყაშვილის მეუღლე) და მელანია (ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე) ივანე რევაზის ძე ვახვახიშვილის ასულნი, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად; ზემოთ მარჯვნიდან: ივანე, მელქისედეკ (მელქო) და ირაკლი გიორგის ძენი ჭავჭავაძენი (იხ. ნ. III)



VII თაობა როშნიასაგან
თავადი ბესპაზ ფარემუზის ძე ჭავჭავაძე4-1
o 1755-1777
ნუსხა IV
(ყვარელი)
VIII
ნინო2 1767-1840
ივანე (გლახა)3 o 1793
გრიგოლ4 ?-1803
პაატა5 1771-?
IX
დიმიტრი6 1786-1860
სოლომონ7 (სიმონ) 1797-1875
მიხეილ8 1800-1828
იხ. ნუსხა V
X
ელისაბედ9 1816-1891
ეკატერინე10 1818-1848
დავით11 1824-1894
ელენე12 1825-?
ნიკოლოზ13 1830-1903
ქეთევან14 1836-?
გრიგოლ15 1819-?
ნინო16 1829-?
ანასტასია17 1849-?
ელისაბედ18 1851-?
ეკატერინე19 1855-1908
XI
გრიგოლ20 1859-?
კონსტანტინე21 1862-?
ნინო22 1863-1912
მარიამ23 1866-1910
ანასტასია24 1869-1938
მიხეილ25 1873-1918
დიმიტრი26 1860-?
ალექსანდრე27 1861-1918
ეკატერინე28 1862-?
მარიამ29 1864-?
ელენე30 1876-?
XII
ალექსანდრე31
მარიამ32 1893-?
დავით33 1898-?
ვერა34 1900-?
მიხეილ35 1908-1932
ეკატერინე36 1909-1932
გიორგი37 1910-1937
რუსუდან38 1913-1996
ნატალია39 1917
XIII
მიხეილ40
სერგო41

**2/1. ნინო ბესპაზის ასული** (1767-8.05.1840) **R** I. N.N.; **R** II. თავადი დავით გიორგის ძე მაღალაშვილი (ს. მეტეხი), სარდალი.

**4/1. გრიგოლ (გიორგი) ბესპაზის ძე** (?-1803) **R** ანასტასია N. (1766-12.04.1830).

**5/1. პაატა ბესპაზის ძე** (1771-1828-მდე), ხუთასისთავი. თვითმპყრობელური ხელისუფლება პაატა ჭავჭავაძეს პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებად თვლიდა, ამიტომ 1811 წელს ზედამხედველობა დაუწესეს (იხ. ამბ. გაჩეჩილაძე «მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის» წიგნში: «ლიტერატურული ძიებანი», VIII, თბ. 1953, გვ. 365). გარდაიცვალა ლეკებთან შეტაკებისას მიღებული ჭრილობებისაგან. **R** პელაგია (მარიამ), მელქისედეკ ანდრონიკაშვილის ასული (1771-13.09.1830), (ს. ფხოველი). ილია ჭავჭავაძის პაპა და ბებია.

**6/3. დიმიტრი გლახას (ივანეს) ძე** (1786-16.04.1860) **R** 10.11.1806 ანასტასია, თავად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ასული (1792-1857), (ს. ლალისყური); შემორჩენილია კარაბადინი, რომელსაც აქვს წარწერა: «მის ბრწყინვალებას კნ. ანასტასიას ჭავჭავაძისას მიერთოს...» (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ის ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა (H) კოლექცია, ტ.VI, თბ; 1953, საბუთი №2719, გვ.114).

**7/4. სოლომონ (სიმონ) გრიგოლის (გიორგის) ძე** (1797-21.04.1875), მილიციის მაიორი **R** I. მაკრინე, თავად N ჯორჯაძის ასული; **R** II. 27.09.1825 სალომე, თავად ზაქარია სიდამონ-ერისთავის ასული (1808-27.08.1830), (თელავი); **R** III. 25.09.1831 თამარი, თავად იოსებ ორბელიანის ასული (1800-?); ჰყავდა, აგრეთვე, ჯვარდაუწერელი ცოლი, ქვრივი - ნინო ივანიშვილი (დრამატურგის, შაქრო საფაროვის (1862-1928) და მსახიობის, მაკო საფაროვა - აბაშიძის ბებია), რომლისგანაც შეეძინა ორი ქალიშვილი: ელისაბედი (იხ. ამავე ნუსხაში 18/7) და ეკატერინე (იხ. ამავე ნუსხაში 19/7; დაწვრილებით იხ. მაკო საფაროვი-აბაშიძე, მოგონებანი, "მნათობი", 1947, №4, №5; თედო სახოკია, «ჩემი საუკუნის ადამიანები», თბ., 1984, გვ.34).

**8/4. მიხეილ გრიგოლის ძე** (1800-14.05.1828) _ ლეკებთან შეტაკებისას დაიღუპა სოფელ გავაზთან.

**9/6. ელისაბედ დიმიტრის ასული** (1816-15.02.1891) **R** თავადი ალექსანდრე გრიგოლის ძე ჩოლოყაშვილი (1812-1875), (ახმეტა).

**10/6. ეკატერინე** (შინაურობაში **სალომე**) **დიმიტრის ასული** (1818-10.10.1848) **R** 1.11.1833 თავადი რევაზ დიმიტრის ძე ვაჩნაძე (ონანო) (1812-16.01.1840), (ს. კოლაგი). (იხ. გაზ. «Обзор» 1878, №309, 18 ნოემბერი, გვ.2-4) _ მათი ქალიშვილი ანიკო ვაჩნაძე არის ილია ჭავჭავაძის წერილის ადრესატი (იხ. ილ. ჭავჭავაძე თხზულებანი, ტ. X, თბ., 1961, გვ. 16-17; გ. შარაძე «პოეტის ახლობლები», გაზ. «თბილისი», 1986, №186, 14 აგვისტო გვ.10; რ. ვაჩნაძე «სიხარული მომგვარა», გაზ. «თბილისი», 1986, №242, 21ოქტომბერი, გვ.4).



ეკატერინე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძის (ნ. IV, 10/6) შვილები და შვილიშვილები: და–ძმა ანიკო და სოსიკო ვაჩნაძეები, სოსიკოს შვილები: აბრამ და ეკატერინე ვაჩნაძეები.

**11/6. დავით დიმიტრის ძე** (26.08.1824-16.02. 1894), პოდპორუჩიკი **R** I. 11.11.1851 ნატალია, აზნაურ დიმიტრი თულაშვილის ასული (1832-1862); **R** II. ბარბარე, თავად ლუარსაბ ვაჩნაძის (ონანო) ასული (1829-1913), (ს. კოლაგი).

**12/6. ელენე (ნენე) დიმიტრის ასული** (1825-?), ილია ჭავჭავაძის წერილის ადრესატი (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. X, 1961, გვ. 12-15) **R** 8.06.1845 თავადი დიმიტრი თომას ძე ანდრონიკაშვილი (1819-?), (ს.ქოდალო).

**13/6. ნიკოლოზ დიმიტრის ძე** (16.05.1830-17.03.1903), თბილისის სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე (Председатель гражданского департамента Тифлисской Судебной палаты), «დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი» (Действительный статский советник) (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 10, 1961 წ.; გვ. 29, წერილი №16); დაკრძალულია იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში («ივერია», 1903, №64, 20 მარტი) **R** 4.06.1859 ქეთევანი, თავად ესტატე ერისთავის (ქსნის) ასული (1838-7.01.1896).

**18/7. ელისაბედ სოლომონის (სიმონის) ასული** (1850-?) - ილია ჭავჭავაძემ უძღვნა ლექსი "გახსოვს, ტურფავ..." (იხ. ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა ტ.I, ტფ., 1914, გვ.XVIII- XX; კ. აფხაზის მოგონება ილიაზე, "ლიტერატურული მემკვიდრეობა", წ. I, თბ., 1935, გვ. 566), ელისაბედი არის აკაკი წერეთლის წერილების ადრესატი (იხ. აკ. წერეთელი, თხზ., ტ.XV, თბ., 1963, გვ. 238-255) **R** ალექსანდრე ანდრიას ძე მარჯანიშვილი (?-1876) _ პოდპოლკოვნიკი, ფრანგულიდან თარგმნა ალექსანდრე დიუმას "ორი დიანა" (იხ. «ლიტერატურული საქართველო», 1936, №5 28 აპრილი, გვ.6); ალექსანდრეს დაჲ - მაგდალინა დედა იყო



ელისაბედ სოლმონის ასული ჭავჭავაძე–მარჯანიშვილისა (ნ.IV, 18/7)

ცნობილი პუბლიცისტის, სერგეი მესხის და დიდი ბებია _ მსახიობის, ვერიკო ანჯაფარიძის. ელისაბედ ჭავჭავაძისა და ალექსანდრე მარჯანიშვილის შვილთაგან: თ ა მ ა რ ი 1890 წლიდან ბოდბის, ხოლო შემდგომ სერაფიმო-ზნამენსკის ქალთა მონასტრების წინამძღოლი იყო (ელენე ჩერქეზიშვილი «ბავშვობის მოგონება», ჟ. «კავკასიონი», პარიზი, 1967, №2, გვ.97-99; თედო სახოკია «მშობელი ხალხის ხსოვნაში» იხ. წიგნში: საისტორიო მოამბე, 1990, №59-60, გვ.13; ანდრო ბიწაძე «დედა ფამარი», ჟ. «არტანუჯი», 1994, №2-3, გვ.85-96), კ ო ტ ე (1872-1933) _ გამოჩენილი



კოტე მარჯანიშვილი – ელისაბედ სოლომონის ასულ ჭავჭავაძის (ნ.IV, 18/7) ვაჟი

რეჟისორი, ხოლო **ნინოს** მეუღლე გახლდათ ექიმი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ლავრენტის ძე ელიავა (იხ. «კავკასიის კალენდარი», 1902, გვ.162; გაზ. «კომუნისტი», 1925, №251, 3 ოქტომბერი, გვ.5 ნეკროლოგი; ო. კასრაძე, «კოტე მარჯანიშვილი», თბილისი 1978; თედო სახოკია «ჩემი საუკუნის ადამიანები», თბ., 1984, გვ.35). მათი ვაჟი _ გიორგი (1892-1937) იყო ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი (იხ. რ. ნ. შაშიკაშვილი «სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია საბჭოთა საქართველოში», თბ. 1959, გვ.159-165); მეგობრობდა «ცისფერყანწელებთან». 1925 წელს გიორგი ელიავამ რომენ როლანს გაუგზავნა ელისაბედ ორბელიანის მიერ თარგმნილი გრიგოლ რობაქიძის «მალშტრემ» და «ლონდა» (იხ. გრ. რობაქიძე «ჩემთვის სიმართლე ყველაფერია ...», 1996, გვ.195).

**19/7. ეკატერინე სოლომონის (სიმონის) ასული** (1855-1908) (იხ. აკაკი წერეთელი, თხზ. ტ. XIV, 1961 წ. გვ. 369-370). **R** 25.10.1870 დავით გრიგოლის ძე აბელიშვილი (1839-23.08.1919), პოლკოვნიკი.

**21/11. კონსტანტინე დავითის ძე** (15.02.1862-?) **R** პოლინა ივანეს ასული N.

**23/11. მარიამ დავითის ასული** (20.02.1866-1910) **R** თავადი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ტუსიშვილი (1871-1909), (ს. ბულაჩაური).

**24/11. ანასტასია დავითის ასული** (10.01.1869-1938) **R** თავადი ვლადიმერ დიმიტრის ძე ჯავახიშვილი, (ს. ხოვლე).

**25/11. მიხეილ დავითის ძე** (8.04.1873-1918 დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე, ამჟამად აქ ვერის ბაღია და საფლავი დაკარგულია) _ განათლებით იურისტი; **R I.** 4.07.1897 ალექსანდრა პავლეს ასული სემენენკო (Александра Павловна Семененко) (1876-?), რომლისგანაც შეეძინა ორი შვილი: დავითი და ვერა. **R II.** 20.07.1907 თამარი, თავად გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის ასული (1881-1960) _ დანარჩენი შვილების დედა (თამარის შესახებ იხ. ნიკო ბაგრატიონი «ბურებთან», მოგონება, თბ; 1990, გვ.10-13; ნატო ჭავჭავაძე-მირცხულავა «დიდიმ მირცხულავა», თბ; 1999, გვ.7).



მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძე(ნ. IV, 25/11)



თამარ გიორგის ასული ბაგრატიონ–მუხრანელი – მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძის (ნ.IV, 25/11) მეუღლე ძმასთან,დავითთან ერთად

**26/13. დიმიტრი ნიკოლოზის ძე** (7.07.1860-?), კოლეჟსკი სეკრეტარი (Коллежский секретарь).



დიმიტრი და ალექსანდრე ჭავჭავაძენი (ნ.IV, 26/13, 27/13)



მარცხნიდან: მომრიგებელი შუამავალი – დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (ნ.IV,26/13), თიანეთის მაზრის უფროსი, პოდპოლკოვნიკი – ბორის მიხეილის ძე განოვი, თიანეთის მაზრის ექიმი – ილია ივანეს ძე თუმაჯანოვი, თიანეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე – ვიქტორ კაზიმირის ძე ზინკევიჩი

**27/13. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე** _ «დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი» (Действительный статский советник) (26.06.1861-1918) **R** ნინა პეტრეს ასული ჟუკაევა (Нина Петровна Жукаева) (17.04.1864-?).



ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (ნ.IV, 27/13)

**29/13. მარიამ ნიკოლოზის ასული** (14.08.1864-?) **R** ს.კუკოლ-იასნოპოლსკი (С. Куколь-Яснопольский). იხ. გაზ. «ივერია», 1904, №116, 19 მაისი, გვ. 11.



მარიამ ნიკოლოზის ასული ჭავჭავაძე (ნ. IV, 29/13)



ალექსანდრე (ნ.IV, 27/13), დიმიტრი (ნ.IV, 26/13) და მარიამ

(ნ.IV, 29/13) ჭავჭავაძენი

**33/25. დავით მიხეილის ძე** (13.05.1898-?) **R** თამარ გიორგის ასული N (ეროვნებით რუსი); ცხოვრობდნენ მოსკოვში.

**34/25. ვერა მიხეილის ასული** (1900-?) _ ცხოვრობდა ლენინგრადში (ახლა სანკტ-პეტერბურგი), პროფესიით იყო მსახიობი).

**35/25. მიხეილ (Агуся) მიხეილის ძე** (1908-1932) _ სამხედრო: გარდაიცვალა ბაქოში, საიდანაც დამ, რუსუდანმა ჩამოასვენა თბილისში. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.



მიხეილ (Агуся) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IV, 35/25)

**36/25. ეკატერინე (ეკა) მიხეილის ასული** (8.04.1909-1932) _ დააპატიმრეს 1929 წელს. იმყოფებოდა თავისუფალ გადასახლებაში შადრინსკში (კურგანის ოლქი). იქვე დაქორწინდა კინოოპერატორ ნიკოლოზ სტეპანოვზე (Николай Степанов); გადასახლების ვადის დამთავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე (1932წ.) მოწამლეს. დაკრძალულია შადრინსკში (იხ. ნიკო ბაგრატიონი «ბურებთან», მოგონება, თბ; 1990, გვ.12).



ეკატერინე მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IV, 36/25) მეუღლესთან,

ნიკოლოზ სტეპანოვთან ერთად

**37/25. გიორგი (გოგა) მიხეილის ძე** (1910-1937) _ დახვრიტეს მასიური რეპრესიების დროს ბოლშევიკებმა.



გიორგი (გოგა) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IV, 37/25)

**38/25. რუსუდან მიხეილის ასული** (1.06.1913-29.06.1997) _ ექიმი-გინეკოლოგი. მსახურობდა კ. ჩაჩავას კლინიკაში **R** ივანე ეფრემის ძე ზენიაშვილი (13.12.1916-2.04.1985) _ პოლკოვნიკი.



რუსუდან მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IV, 38/25)



მიხეილ (Агуся) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IV, 35/25) ეკატერინე მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IV, 36/25) გიორგი (გოგა) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IV, 37/25) აცმევდნენ როგორც მის დას, ეკას), რუსუდან მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IV, 38/25)

თბილისი 1914

**39/25 ნატალია (ნატო) მიხეილის ასული** (დ.16.06.1917) _ ავტორია წიგნისა «დიდიმ მირცხულავა» (თბ; 1999) R დიდიმ ლავრენტის ძე მირცხულავა (2.08.1912-29.11.1997) _ დირიჟორი, საქ. სსრ სახალხო არტისტი.



ნატალია მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IV, 39/25)

**40/33. მიხეილ დავითის ძე** _ გენერალი მსახურობდა პრაღაში.

**41/33. სერგო დავითის ძე** _ კინოოპერატორი. ცხოვრობს მოსკოვში.




სერგო დავითის ძეჭავჭავაძე (ნ.IV, 41/33)

Родословие Тифлисскаго уезда помещиковъ князей
Димитрія и Соломона Чавчавадзевыхъ 1828 года.







Родословие по грузински Князь Димитрій Чавчавадзе
Князь Соломонъ Чавчавадзе.

Съ подлинною сверялъ Губ. Секретарь [illegible].

№ 512 Сія копія съ грузинской росписи, въ коей заключается восемнадцать кружковъ, съ подлинною


сверении оказалась верною и выдана
изъ Тифлисскаго Дворянскаго Депутат-
скаго Собрания по резолюции Губернскаго
Предводителя Дворянства, Статскому
Советнику Князю Николаю Дмитриеву
сыну Чавчавадзе вследствие прошения его
для представления начальству; – въ чемъ
Собрание сие подписомъ и приложениемъ
казенной печати удостоверяетъ. г. Тифлисъ
Июня 14 дня 1865 года.
Депутатъ Дворянства

ჭავჭავაძეთა გენეოლოგიური ტაბულა 1865 წელი (გ. ლეონის სახ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდი)


VIII თაობა როშნიასაგან
თავადი პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძე[5-1]
ნუსხა V
(ყვარელი)
IX
მაკრინე[2] 1792-1872
სიმონ[3] 1802-1827
ალექსანდრე[4] 1808-1838
გრიგოლ[5] 1811-1852
გარსევან[6] 1816-1847
იოსებ[7] 1818-1828
X
ეკატერინე[8] 1829-1846
პელაგია[9] 1832-?
სიმონ[10] 1833-?
პაატა[11] 1833-?
სოფიო[12] 1835-?
ნატალია[13] 1838-?
კონსტანტინე[14] 1833-1854
ნინო[15] 1834-1883
ილია[16] 1837-1907
სვიმონ[17] 1838-1839
ელისაბედ[18] (ლიზა) 1840-1925
თეიმურაზ[19] (თემურ) 1844-1860
ლევან[20] 1845-1847
XI
სიმონ[21] (Сеня) 1855-?

**2/1. მაკრინე პაატას ასული** (1792-20.04.1872) ილია ჭავჭავძის მამიდა და წერილების ადრესატი (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზ; ტ. X, 1961.; გვ. 19-22). **R** თავადი ივანე რაფიელის ძე ერისთავი (არაგვის) (1788-1840), (ქისტაური) _ თელავის მაზრის წინამძღოლი, პოლკოვნიკი; მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: ბარბარე ჯორჯაძის (1811-1895) და რაფიელ ერისთავის (1824-1901) ბიძა.



მაკრინე პაატას ასული ჭავჭავაძე (ნ.V, 2/1)

**3/1. სიმონ პაატას ძე** (1802-1827), შტაბს-კაპიტანი. მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში. სპარსელებმა მოკლეს ერევანთან ბრძოლაში: «ერევნის ფორშტატში მოჰკლეს სვიმონ ვაჩნაძე, ჯავან-ბულაღის ომში გაბრიელ სოლოღაშვილი და ურდო აბბატის სიახლოეს სვიმონ ჭავჭავაძე, სამნივე მშვენიერნი და სავსე გონებითა ყმაწვილნი კაცნი...» (გრ. ორბელიანი «სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი ერევნის სიახლოვეს», იხ. თხზულებათა სრული კრებული აკ. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1959, გვ.102 სქოლიო) **R** ბარბარე ალექსანდრეს ასული აბესაძე (II. თავადი ქაიხოსრო ბაგრატის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი).

**4/1. ალექსანდრე პაატას ძე** (1808-1838), პრაპორშჩიკი. დაიღუპა დაღესტანში, სადაც მსახურობდა გენერალ ფეზის რაზმში. **R** 8.01.1829 ელისაბედი, მოქალაქე მირიმან მელიქოვის ასული.

**5/1. გრიგოლ პაატას ძე** (1811-8.12.1852), შტაბს-კაპიტანი; **R** I. 15.02. 1832 მაგდანა (მარიამ) ქრისტეფორეს (ხაჩატურის) ასული ბებურიშვილი (1818-4.05.1848); დაცულია 1800 წლის 9 ივნისით დათარიღებული, მეფე გიორგი მეთორმეტის მიერ

ხეჩატურ ბებუროვისათვის მიცემული ჯამაგირის წიგნის თარგმანი («მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის» შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ იხ. კრებული «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1948, ნაკვ.I (26), გვ.79-80) R II. 11.01.1850 ეკატერინე (ქალია) დავითის ასული N. (I. შიოშ ნიკიტას ძე შიოევი).

**6/1. გარსევან პაატას ძე** (1816-1847), შტაბს-კაპიტანი, კავკასიის მე-2 მესანგრეთა ასეულის მეთაური. დაიღუპა გერგებილზე იერიშის დროს.

**8/4. ეკატერინე ალექსანდრეს ასული** (1829-1846) R 8.10.1845 თავადი ოთარ ყაფლანის ძე ვაჩნაძე (1817-1851) (ონანო), (ს. კოლაგი).

**9/4. პელაგია ალექსანდრეს ასული** (10.02.1832-?) R 12.02.1854 თავადი ლუარსაბ იესეს ძე მაყაშვილი (1827-1866), (ს. იყალთო). მათი ვაჟი ალექსანდრე (1855-1908) - რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის მონაწილეა; იყალთოში შექმნა ფარული წრე, ავრცელებდა რევოლუციურ ლიტერატურას და ხელისუფლების მიერ აკრძალულ წიგნებს. დააპატიმრეს 1876 წ. ზაფხულში; პატიმრობაში გაატარა ერთი წელი და სამი თვე, შემდეგ პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა ბარბარე მიხეილის ასული ყარალაშვილი (1865-1944); ბარბარე ყარალაშვილი-მაყაშვილი ავტორია მოგონებისა «ილია ყვარელში» (იხ. «ლიტერატურული მატიანე», წ. 1-2, თბ., 1940 წ., გვ. 149-151). ალექსანდრე და ბარბარე მშობლები არიან ტიციან ტაბიძის მეუღლის - ნინა მაყაშვილის.

**12/4. სოფიო ალექსანდრეს ასული** (5.03.1835-?) R 7.02.1854 კონსტანტინე მიხეილის ძე ბოგდანოვ-კასინსკი (Константин Михайлович Богданов-Касинский) (1824-?).



სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (ნ.V, 12/4)

**14/5. კონსტანტინე გრიგოლის ძე** (30.03.1833-1854) R 21.01.1854 ვარვარა გრიგოლის ასული კუკოლევსკაია (Варвара Григорьевна Куколевская) (1835-?); მათ ვაჟს, ძმისწულს _ სენოს ხშირად ახსენებს ილია ჭავჭავაძე წერილებში ოლღა გურამიშვილისადმი (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961, გვ. 344, 379, 387).

**15/5. ნინო გრიგოლის ასული** (8.12.1834-28.12.1883). ილია ჭავჭავაძის დაა და მისი წერილების ადრესატი (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზ.; ტ. X, 1961, გვ. 7-11); ნინოს ნათლია იყო «თავადის ლეიბღვარდიის პორუჩიკის დიმიტრი ორბელიანის მეუღლე მარიამ ლუარსაბის ასული» (იხ. ა.გაჩეჩილაძე «მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი-ისათვის» წიგნში: «ლიტერატურული ძიებანი», VIII თბ; 1953 გვ.373-374); ჭავჭავაძეების ოჯახში დაცულ ერთ წიგნს, რომელიც ილიას დედის _მაგდანას (მარიამის) ნამზითვი უნდა იყოს აწერია: «... ასულმა ჩემმა ნინოუცამ იქორწინა თავად ნიკოლოზო აბხაზედ, თავადი გრიგოლ ჭავჭავაძე» (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის (S) კოლექცია, ტ. I თბ; 1959, საბუთი №42, გვ.71) **R** 11.01.1851 თავადი ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზი (1828-1907).



ნინო გრიგოლის ასული (ნ.V, 15/5), ნიკოლოზ შერმანაზის ძე აბხაზის მეუღლე, ქალიშვილთან ერთად

**16/5. ილია გრიგოლის ძე** (20.01.1837-30.08.1907) - პოეტი ბელეტრისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი და კანონმდებელი, ქართული კრიტიკული რეალიზმის, რეალისტური კრიტიკისა და მებრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი, მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალური ფიგურა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ილიას ქედუხრელი ბრძოლისა და რუდუნების შედეგია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნული და სოციალური თავისუფლებისაკენ სწრაფვის გაღვივება და განმტკიცება, ახალი იდეურ-პოლიტიკური, სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების დანერგვა-დამკვიდრება _ ახალი, აღმავალი ეტაპი ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაში. სწავლობდა: 1848-1850 წწ. - თბილისში, ალექსანდრე რაევსკის კერძო პანსიონში, 1851-1856 წწ. - თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, 1857-1861 წწ. - პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი პირველი ნაწარმოები, თარგმანი ლექსისა "ჩიტი" დაიბეჭდა ჟურნალში "ცისკარი" (1857 წ. №1), ხოლო პირველმა პუბლიცისტურმა

წერილმა - “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან “შეშლილის” თარგმანზედა” (ჟურნ. “ცისკარი”, 1861 წ. №4) - ახალი თაობის ლიტერატურული მანიფესტის მნიშვნელობა შეიძინა და დასაბამი მისცა ქართულ პროფესიულ სალიტერატურო კრიტიკას. ამის შემდგომ, ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად გამოქვეყნებულმა, ილიას მხატვრულმა და პუბლიცისტურმა ნაწარმოებებმა ქართული სულის, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასა და აღზევებას შეუწყო ხელი. 1863 წ. დააარსა ჟურნალი “საქართველოს მოამბე”. 1863 წ. 21 ივნისს დაქორწინდა ოლღა გურამიშვილზე (1842-1929), თავად თადეოზ ზაალის ძე გურამიშვილის ასულზე. 1864 წ. მაისი-ნოემბერი - ქუთაისის გუბერნატორის



ილია
პეტერბურგი 1901



ილიას დაბადების მოწმობა (საქ. ცენტრალური არქივი, სინოდალური კანტორის ფონდი, 489, აღწერა 6, საქ. №301, ფურც. 16)



ნინო მალხაზის ასული ანდრონიკაშვილი, გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავის მეუღლე – ილია ჭავჭავაძის ნათლია



ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი–ჭავჭავაძისა

საგანგებო მინდობილობათა მოხელეა საგლეხო რეფორმის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით; 1864-1868 წწ. - მომრიგებელი შუამავალი დუშეთის მაზრაში; 1867 წლის 21 აპრილს მიიღო “კოლეჟსკი რეგისტრატორის” ჩინი; 1867 წლის 10 თებერვალს დააჯილდოვეს “წარჩინების ნიშნით”; 1868 წლის 1

თებერვლიდან 1873 წლის 14 მაისამდე თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლეა; 1872 წლის 5 დეკემბერს სათავადაზნაურო კრებამ მოიწონა მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული **ქართული ბანკის** წესდების პროექტი. ამავე წლის 7 დეკემბრის სხდომაზე არჩეულ იქნა ბანკის მმართველად. 1873 წ. მაისი - 1874 წ. აპრილი - იმყოფება რუსეთში ბანკის საორგანიზაციო საქმეების მოსაგვარებლად. 1874 წლის 5 სექტემბრიდან 1905 წლის 23 ივნისამდე -



ილია ჭავჭავაძის ფაქსიმილე

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარეა; 1875-1881 წწ. - თბილისის საოლქო სასამართლოს პალატის ნაფიცი ვექილია; 1877 წ. დააარსა პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა - გაზეთი "ივერია". 1879-1885 წწ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა, 1885-1907 წწ. - ამავე საზოგადოების თავმჯდომარე. 1884 წლის 25 აპრილიდან მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშაა. 1900 წ. ივნისი-ნოემბერი - შერყეული ჯანმრთელობის სამკურნალოდ იმყოფება ევროპაში. 1905 წ. გამოდის საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. 1905 წ. ნოემბერი - 1906 წ. იანვარი - იმყოფება პეტერბურგში, როგორც საქართველოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი ჟურულთან ერთად, კავკასიის ერების დელეგაციაში; 1906 წ. აპრილში აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. "სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი - ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს" (იხ. ჟურნ. "განათლება", 1908, №3-4, გვ.108). 1906 წ. აპრილი-ივნისი, 1907 წ. თებერვალი-ივლისი - პეტერბურგში ესწრება სახელმწიფო საბჭოს სესიებს. 1907 წლის თებერვალი-ივლისი - სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გამოდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. 1907 წლის ივლისში თბილის-ში ბრუნდება. საზოგადოებრივმა ატმოსფერომ, რომელიც ანტიეროვნულმა ძალებმა _ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა _ თავისი აგიტაციით შექმნეს, ნიადაგი შეუმ-ზადა მის მკვლელობას 1907 წლის 30 აგვისტოს საგურამოს მახლობლად, წიწამურ-თან. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის

პანთეონში (დაწვრ. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.I, თბ., 1987, გვ.5-32; კიტა აბაშიძე, "ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!", გიორგი აბაშიძის რედაქციით, წინათქმით, კომენტარებითა და შენიშვნებით, თბ.1991; პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ.I, თბ., 1963; გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება (ფოტომატიანე), წ.I, თბ., 1987; წ.II, თბ., 1990).

**18/5. ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული** (19.10.1840-28.09.1925, დაკრძალულია ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (იხ. გაზ. «კომუნისტი», 1925, №227, 3ოქტომბერი გვ.4) _ ილია ჭავჭავაძის დაჲ და მისი წერილების ადრესატი (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზ.; ტ. X, 1961, გვ. 61-74). **R** I. 28.04.1857 თავადი ნიკოლოზ (ივანე) ესტატეს ძე ორბელიანი (1831-1868), ლეიტენანტი (ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. X, 1961 წ. გვ. 16; 75-77; ანასტასია მაყაშვილი «მოგზაურობა საზღვარგარეთ» იხ. წიგნში: «ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში», გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა, თბ.; 1987, გვ. 151) **R** II. 20.02.1872 აზნაური ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი (**R I.** ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანი) _ გენერალ-მაიორი _ მელიტონ ბარათაშვილის დის, მაშოს შვილი; ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილის ადრესატი (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზ. თბ.; 1972, გვ.140).



ელისაბედ გრიგოლის ასული ჭავჭავაძე–საგინაშვილისა (ნ. V, 18/5)



ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი – ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის

ასულ ჭავჭავაძის (ნ. V, 18/5) მეუღლე

**19/5. თეიმურაზ გრიგოლის ძე** (12.12.1844-1860 დაკრძალულია პეტერბურგში). 1860 წლის 14 მაისს ილია ჭავჭავაძე მამიდას, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისას ატყობინებს ძმის, თემურის გარდაცვალებას (იხ. ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. X, თბ.; 1961, გვ. 19-20). დაცულია თეიმურაზ ჭავჭავაძის რუსულ ენაზე შესრულებული წერილი ილიასადმი (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-17626).

**21/14. სვიმონ (სენო) კონსანტინეს ძე** (3.02.1855-?) დაიბადა ვორონეჟის გუბერნიაში. (მის შესახებ იხ. ილ. ჭავჭავაძე თხზ. ტ. X, 1961, წერილები №№ 46, 47, 48, 70, 102, 117) დაიღუპა ტრაგიკულად.



სიმონ (სენო) კონსტანტინეს ძე ჭავჭავაძე (ნ. V, 21/14)

V თაობა როშნიასაგან

# თავადი მამუჩი გულბაათის ძე ჭავჭავაძე[13-1]

ნუსხა VI

(სოფ. წინანდალი)



4/1. **რამაზ მამუჩის ძე,** ი1682-1710, სუფრაჯი.

5/1. **გიორგი მამუჩის ძე,** ი1726, სუფრაჯი.

7/4. **გარსევან რამაზის ძე,** ი1710-1731, მეჯინიბეთუხუცესი.

9/4. **მამუჩი რამაზის ძე,** ი1710-1731, ნაზერალი.

10/4. **სულხან რამაზის ძე,** ი1710-1731, ეშიკაღასბაში.

13/7. **ამბაკო გარსევანის ძე,** ი1754-1783, არქიმანდრიტი, კარის წინამძღვარი.

14/7. **რევაზ გარსევანის ძე,** ი1746-1783, ეშიკაღასბაში.

15/7. **სულხან გარსევანის ძე,** ი1783, ეშიკაღასბაში.

18/9. **ზურაბ მამუჩის ძე,** ი1758-1777 **R** თამარი, თავად N. ზარათაშვილის ასული.

21/14. **გარსევან (ნათლობის სახელი: დავით) რევაზის ძე** (20.07.1757-7.04.1811) - ერეკლე II-ის ეშიკაღასბაში, ყაზახისა და ბორჩალოს მოურავი, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1783 წლის 24 ივლისს, როგორც ქვეყნის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს. 1784-1801 წწ. იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის იმპერატორის კარზე. 1801 წ. მიიღო სტატსკი სოვეტნიკის ჩინი. ცდილობდა საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რის გამოც, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ, იძულებით გაიწვიეს (1805 წ.) პეტერბურგს. გარდაიცვალა იქვე. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში (დაწვრილებით იხ. ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. III, თბ. 1985, გვ.340-351) **R** 1780 მარიამი (მაია), თავად ივანე (სულხან) ავალიშვილის ასული (1.04.1758-19.05.1836) (ავალიშვილების შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. კიკნაძე, «გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება», 1993).



გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე (ნ. IV, 21/14)



მარიამ "(მარი), ივანე (სულხან) ავალიშვილის ასული,

გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე (ნ. IV, 21/14) მეუღლე

**22/15. დარეჯან (დარია) სულხანის ასული,** o1795-1811 _ ტყვედ ჩაუვარდა აღა-მაჰმად-ხანს, გამოიხსნა ბიძაშვილმა, გარსევან ჭავჭავაძემ; დარიასადმია მიძღვნილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი «ავათმყოფობის ჟამს მიწერილი»:

«საწუხმან ხმამან, საწყინოდ კმამან,
მაცნო მთოვარის განლეულება,
შავთ მშვილდთა ჭმუხვა, ოხვრათა ქუხვა,
მელნისა ტბათა აღრეულება.
სენს უპყრიაო ვარდი, იაო, თუცა
არ ძალუჩანს მათთ ფერთ მიღება,
მამცნენ, მნათობო, ყოველთა მჯობო,
რისგან გაქვს ჭმუნვა და სნეულება».

ამ ლექსის ერთ ნუსხაში ვკითხულობთ: «ოდეს ალექსანდრე ჭავჭავაძე შევიდა თავის მამიდა კნეინა დარეჯანთან და კნეინა იგი იყო თავმოხვეული, ქვეშაგებში იჯდა ავად რასმე და უქეიფოდ იყო და თავის ძმისწულმა ალექსანდრემ მოახსენა ჩახრუხაულით ლექსი ესე.» ლექსი 1810-1811 წლებით თარიღდება, როცა დარეჯან (დარია) ჭავჭავაძე, პოეტის მამის ბიძაშვილი, პეტერბურგში იმყოფებოდა მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის პერმში გადასახლებული შვილის _ დიმ. ვახვახიშვილის განთავისუფლების სათხოვნელად. პოეტის მიერ დარეჯანის სილამაზის ხოტბა უსაფუძვლო არ იყო. დავით რექტორი მას «სულისა ძალთა წამღებს» უწოდებს, ხოლო იოანე ბატონიშვილი _ «ბოღინათ შორის შენამსგავსიას» (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულე-ბანი, შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, 1986, გვ. 116, 279) R თავადი დიმიტრი ზაალის ძე ვახვახიშვილი.

**23/17. რამაზ მამუკას ძე,** o1746-1780, მდივანი.

**24/18. იოანე (ნინია) ზურაბის ძე,** o1758-1797, დედოფლის ყულუხჩი R ანა N (1767-10.09.1847).

IX თაობა როშნიასაგან

## თავადი გარსევან (დავით) რევაზის ძე ჭავჭავაძე[21-1]

ნუსხა VII
(სოფ. წინანდალი)

- **X** ალექსანდრე[2] 1786-1846
  - **XI** ნინო[3] 1812-1857
  - **XI** ეკატერინე[4] 1815-1882
  - **XI** დავით[5] 1817-1884
    - **XII** სალომე[7] 1848-1919
    - **XII** მარიამ[8] (კაკო) 1849-1921
    - **XII** ელენე[9] 1850-1929
    - **XII** თამარ[10] 1852-1933
    - **XII** ალექსანდრე[11] 1853-1900
    - **XII** ელისაბედ[12] (ლიდია) 1854-1854
    - **XII** გიორგი[13] 1856-1856
    - **XII** ანასტასია[14] 1856-1927
    - **XII** ნინო[15] 1859-1936
    - **XII** ილია[16] 1860-1921
      - **XIII** ანა[18] 1891-1943
      - **XIII** ნინო[19] 1898-1924
      - **XIII** დავით[20] 1900-1953
        - **XIV** ილია[23]
    - **XII** არჩილ[17] 1869-1913
      - **XIII** დავით[21] ?-1895
      - **XIII** სერგო[22] 1898-1920 (უგზო-უკვლოდ დაიკარგა)
  - **XI** სოფიო[6] 1833-1862

2/1. **ალექსანდრე გარსევანის (დავითის) ძე** (1786-6.11.1846) - პოეტი, მთარგმნელი, ქართული რომანტიზმის პირველი წარმომადგენელი. მშობლიურის გარდა, ფლობდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და სპარსულ ენებს. დაიბადა პეტერბურგში 1786 წელს (ვარაუდით 10 ივლისს, იხ. ლ.კიკნაძე. «თარიღის დაზუსტებისათვის», გაზ. «ლიტ. საქ.", 1987, №32, 31 ივლისი). მონათლა იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ. 1788 წლის შემოდგომაზე მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს. 1795-1799 წწ. პეტერბურგშია; სწავლობდა ბამანის თავისუფალ პანსიონში. 1804 წ. სექტემბერში მონაწილეობს მთიულეთის აჯანყებაში. 1804 წლის 29 ოქტომბერს დააპატიმრეს ყიზლარში. 1805 წლის 30 ნოემბერს გადაასახლეს სამი წლით ტამბოვში. 1806 წლის შემოდგომაზე დანაშაული აპატიეს, გაიწვიეს პეტერბურგს და პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს. 1809 წლის 19 დეკემბერს ჰუსართა პოლკში ჩაირიცხა პოდპორუჩიკის წოდებით. 1810 წ. ცხოვრობდა მოსკოვში ბაგრატ ბატონიშვილის ბინაზე. დაამთავრა მოსკოვის გვარდიის პორუჩიკთა სასწავლებელი. 1810 წლის 31 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ-ლეიტენანტის, მარკიზ პაულუჩის



ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე (ნ. VII, 2/2)

ადიუტანტად და გამოემგზავრა სამშობლოში. 1812 წლის გაზაფხულზე ფეხში დაჭრეს კახეთის აჯანყების მონაწილეებმა. 1813 წელს რიგაშია მარკიზ პაულუჩისთან. 1813-1814 წწ.-ში იმყოფებოდა გენერალ ბარკლაი დე ტოლის განკარგულებაში, მონაწილეობდა ბრძოლებში საქსონიასა და საფრანგეთში, შევიდა პარიზში. 1814 წლის დამლევს საქართველოშია; დაინიშნა ადგილობრივ ლეიბ-ჰუსართა პოლკში. 1816-1818 წწ.-ში სამსახურიდან დათხოვნილია 1812 წელს მიღებული ჭრილობების სამკურნალოდ. როტმისტრი - 1817 წლის მარტი; პოლკოვნიკი - 1817 წლის სექტემბერი; 1818 წლის 18 თებერვლიდან - მსახურობს კახეთში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში; 1822 წლის 10 ივნისიდან გადაყვანილია ქართულ გრენადერთა პოლკში; 1823 წლის 23 მარტიდან - საგანგებო დავალებათა შემსრულებელია გენერალ



სალომე ჭავჭავაძე

სალომე – ივანე ორბელიანის ასული, ალექსანდრე გარსევანის

ძე ჭავჭავაძის (ნ. VII, 2/1) მეუღლე

ერმოლოვთან; 1826 წლის 6 დეკემბრიდან - გენერალ-მაიორია; 1827 წელს - ყუბანის ჯარების უფროსი; 1827 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის ომში, დაიპყრო თავრიზი; 1827 წლის 22 ოქტომბრიდან - აზერბაიჯანის დროებითი მმართველობის წევრია და თავრიზის ოლქის შემოსავალთა დამდგენი კომისიის თავმჯდომარე; 1828 წლის 17 თებერვლიდან - სომხეთის ოლქის მმართველი; 1828 წლის აგვისტო-სექტემბერში მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის ომში, დაიპყრო ბაიაზეთი; 1829 წლის 15 მაისიდან ინიშნება კახეთის სამხედრო საზღვართა მმართველად; 1833 წლის იანვრის დამლევს დააპატიმრეს თავად-აზნაურთა შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. 1834 წლის 18 იანვარს გადაასახლეს ტამბოვს. იმავე წლის აპრილში გაიწვიეს პეტერბურგს, სადაც პატაკთან ერთად, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი წარუდგინა იმპერატორს. 1837 წლის ოქტომბერში დაბრუნდა საქართველოში. 1838 წლის აპრილიდან გარდაცვალებამდე ამიერკავკასიის სამმართველოს წევრია. 1841 წლის 4 ივლისიდან - გენერალ-ლეიტენანტი; 1843 წლის სექტემბერში მონაწილეობას იღებს დიდოეთში შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში, 1846 წლის 6 ნოემბერს. დაკრძალულია შუამთის მონასტერში (ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ დაწვრილებით იხ. «ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა», ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. III, თბ.; 1985, გვ.335-427; ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი. შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭიშვილმა, თბ., 1983, გვ.314-316). R 19.02.1812 სალომე, თავად ივანე დავითის ძე ორბელიანის ასული (1795-1847) _ ერეკლე მეორის შთამომავალი.

**3/2. ნინო ალექსანდრეს ასული** (1812-28.06.1857) _ გრიგოლ ორბელიანის პოეტური მუზა და მისი ლექსების ადრესატი; ნინოს მეუღლე _ ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი (4.01.1795-30.01.1829) იყო ცნობილი დიპლომატი და გამოჩენილი მწერალი. 1822 წლიდან მსახურობდა თბილისში, ჯერ მთავარმართებელ ერმოლოვთან, შემდეგ - პასკევიჩთან. დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ დააპატიმრეს, მაგრამ ფარული

საზოგადოების წევრობა ვერ დაუმტკიცეს; 1827 წელს მიანდეს ოსმალეთთან და ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის წარმართვა. 1828 წელს დანიშნეს რუსეთის მინისტრ-რეზიდენტად ირანში; ამავე წელს დაქორწინდა. მათი ერთადერთი შვილი (ვაჟი), დაიღუპა დაბადებისთანავე (1829 წ.). ა.ს. გრიბოედოვი დაკრძალულია თბილისში, წმ. დავითის მთაზე (მთაწმინდაზე).ж მის საფლავს სამხრეთის მხარეს აწერია - “Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя”, ჩრდილოეთის მხარეს - “незабвенному его Нина“. ნინო გარდაიცვალა თბილისში ქოლერის ეპიდემიის დროს. დაკრძალულია მეუღლის გვერდით (დაწვრილებით იხ. ი. ბალახაშვილი «გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე», თბ. 1966).



ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 3/2)



ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი, ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 3/2) მეუღლე

**4/2. ეკატერინე ალექსანდრეს ასული** (1815-13.08.1882) - ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მუზა და მისი ლექსების ადრესატი. "ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან საღამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, სადაც დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი. - "ლევან, ლევან! გავგიჟდი, მეტი აღარ ვარ! ეკატერინე იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია. ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს" (იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954,



ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 4/2)

ნახატი ვინტერჰალტერისა



დავით ლევანის ძე დადიანი ეკატერინე ალექსანდრეს

ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 4/2) მეუღლე



ეკატერინე ჭავჭავაძე

ნახ. ლადო გუდიაშვილისა (კერძო კოლექცია)

გვ.217) R 18.12.1838 სამეგრელოს მთავარი დავით ლევანის ძე დადიანი (1812-1853). დაცულია 1881 წლის 19 ივლისით დათარიღებული ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის წერილი (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-16410) ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევისადმი (ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძის (იხ. ნ.VII, 9/5) მეუღლე.

**5/2. დავით ალექსანდრეს ძე** (15.08.1817-15.11.1884) - სამხედრო განათლება პეტერბურგის გვარდიის პოდპრაპორშჩიკთა სკოლაში მიიღო. 1834 წ. _ ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის უნტერ-ოფიცერია; 21 წლის ასაკში გახდა ოფიცერი (1838 წ.); 1839-1840 წლებში მსახურობდა



დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (ნ. VII, 5/2)



ფსკოვის კირასირთა პოლკში; 1840 წ. გადაიყვანეს კავკასიაში, ჩარიცხეს გენერალ-მაიორის ნ.რაევსკის რაზმში; 1841 წლიდან მსახურობს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში; 1843 წლიდან მონაწილეობდა გენერალ-ადიუტანტის, ალ. ნეიდგარდტის ექსპედიციაში შამილის წინააღმდეგ; 1847 წ. მიიღო კაპიტნის ჩინი; 1851 წ. გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკში; ყირიმის ომის (1853-1856 წწ.)



შამილი

დროს ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმების თავდასხმებისაგან. თავი გამოიჩინა მთიელების შემოსევის დროს შილდის დაცვისას 1854 წ. ივლისში, რისთვისაც მიიღო პოლკოვნიკის და მეფის ფლიგელ-ადიუტანტის წოდება. 1854

წლის ზაფხულში შამილის რაზმელები თავს დაესხნენ წინანდლის ჭავჭავაძისეულ სასახლეს და ტყვედ აიყვანეს ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების ოჯახის წევრები (ქალები და ბავშვები). ამ დროს დაიღუპა დავითის მცირეწლოვანი ასული - ლიდია (დაწვრილებით იხ. ანა დრანსე «შამილის ტყვე ქალები», თარგმნა და შენიშვნები დაურთო მ. თავდიშვილმა, 1978). შამილმა ტყვეების სანაცვლოდ მოითხოვა თავისი უფროსი ვაჟის, ჯემალ ედ-დინის დაბრუნება რუსეთიდან. ჯემალი, 1839 წ. ახულგოს აღების წინ, გენერალმა გრაბემ შამილს მძევლად ჩამოართვა. 1842 წ. შამილმა ილია ორბელიანში მოიწადინა მისი გაცვლა (ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანთან იხ. წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, აკ. გაწერელიასა და ივ. ლოლაშვილის რედაქციით, თბ. 1972, წერილი №6, გვ.115-116), მაგრამ იმპერატორისაგან უარი მიიღო. ამჯერად, ნიკოლოზ პირველი დათანხმდა: გაათავისუფლა 16 ტყვე მთიელი, 40000 ვერცხლი გადაიხადა და შამილს ვაჟი დაუბრუნა. ჯემალ ედ-დინის ხასავ-იურტში ჩაყვანა დაევალა დავით ჭავჭავაძეს. გაცვლა შედგა 1855 წლის 10 მარტს მდინარე მიჩიკის ველზე, კურინსკის სიმაგრეში; 1856 წ. დავით ჭავჭავაძე თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წლის 24 სექტემბრიდან _ გენერალ-მაიორია, შემდგომ, იმპერატორის ამალაშია. დაჯილდოებულია წმ. ანას მეორე ხარისხის (1854 წ.), წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის, წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის (1866 წ.) ორდენებით. 1855 წ. 12 წლის ვადით დაუნიშნეს პენსია - 3000 ვერცხლი; ცოლად ჰყავდა მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის ასული - ანა (1828-5.10.1905).



ანა ილიას ასული ბაგრატიონი, დავით ალექსანდრეს ძე

ჭავჭავაძის (ნ. VII, 5/2) მეუღლე

**6/2. სოფიო ალექსანდრეს ასული** (22.09. 1833- 1862). (იხ. ი. გრიშაშვილი «ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის - სოფიოს აკლდამა ქ. ვიბორგში», თხზ.; ტ. IV, თბ.; 1985, გვ.361-365) R ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (Барон Александр Павлович Николаи) (1821-1899). გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში დაცულია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მიერ გაცემული სოფიო ჭავჭავაძის დაბადების

მოწმობა (ხ-3532). აგრეთვე – კიევის წმ. გიორგის ეკლესიის 1862 წლის 25 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტი (ხ-3533) სოფიოს გარდაცვალების შესახებ.



სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 6/2)



ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 6/2) მეუღლე



მარიამ (მაკა) ნიკოლაი–შარვაშიძისა – სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძის (ნ. VII, 6/2) ასული, მუხლზე უზის ივლიტა ჯორჯაძე – ნინო დავითის ასულ ჭავჭავაძის (ნ. VII, 15/5) ქალიშვილი

**7/5. სალომე დავითის ასული** (17.07.1848-1919) - გარდაიცვალა პეტროგრადში, ინვალიდების სახლში **R** ბარონი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი (Барон Максимилиан Александрович фон дер Остен-Сакен).



სალომე დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 7/5)

**8/5. მარიამ (კაკო) დავითის ასული** (22.07. 1849-1921, ბათუმი). «ქიზიყში დიდი შიმშილია, ამის გამო ქიზიყელთა საშველად ირაკლი გრუზინსკის დიდი კონცერტი გაუმართავს, ასი თუმანი მოუგროვებია. კონცერტში ზაქარიას ცოლს კაკოს უმღერნია... მე ძალიან მომეწონა, რომ კაკო მაგისთანა კარგს საქმეში გაერია და



მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 8/5)



მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 8/5)



ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე (ნ. VII, 7/4) – მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 8/5) მეუღლე

არისტოკრატიულად არ ითაკილა ღარიბთათვის გარჯა. ეხლანდელს ქონდრის კაცობაში და ზნეობით დავარდნილს დროში მაგისთანა საქმე კაი დედა-კაცობად ჩაითვლება. ეხლა ქალაქს რო ჩავალ, კაკოს უსათუოდ ვნახავ და დიდს ქებას ვეტყვი...» (ილ. ჭავჭავაძე, თხზ.; ტ. X, თბ.; 1961, გვ.275). მარიამი იყო შესანიშნავი ცხენოსანი (ნატალია ჯიჯავაძე «სტუმრად ილიასთან» იხ. წიგნში: «ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში», გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა, თბ.; 1987 გვ.155) R თავადი ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე (1824-1905). (იხ. ნ.VIII, 7/4).

**9/5. ელენე დავითის ასული** (1850-1929) R 14.04.1871 გენერალი ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევი (Генерал Николай Алексеевич Астафьев) (1842-?).



ელენე დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 9/5)

**10/5. თამარ დავითის ასული** (24.01.1852-1933) - თავის ოჯახის წევრებთან ერთად, ორი წლის ასაკში, ათი თვის განმავლობაში იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. თამარ დავითის ასული იყო ფრეილინა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, თავად-აზნაურთა გიმნაზიის მზრუნველთა კომიტეტის წევრი, თავმჯდომარე "სახლთგადამწვართ კომიტეტისა", რომელიც შეიქმნა გურიის გლეხების დასახმარებლად. შეაგროვა ექსპონატები, რომელიც ასახავდა ქართველთა ყოფა-ცხოვრებას და ვენეციაში, საკუთარ ვილაში მოაწყო ქართული კულტურის მუზეუმი. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში. მისი მეუღლე იყო უგანათლებულესი თავადი - ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (18.08.1827-27.04.1882) - ერეკლე II-ის შვილიშვილი. ჰყავდათ ორი ქალიშვილი: ელისაბედი (1870-1942) - მამუკა ივანეს ძე ორბელიანის (1873-1924) მეუღლე და ეკატერინე (1872-1917) - ივანე დიმიტრის ძე რატიშვილის მეუღლე. ელისაბედ ორბელიანი იყო პოეტი, მთარგმნელი. განათლება მიიღო პარიზში, ცხოვრობდა იტალიასა და შვეიცარიაში. ფრანგულად გამოსცა ლექსების კრებული ფსევდონიმით "საზანდარი". 1919-1920 წწ.-ში რედაქტორობდა გაზეთებს - "თავისუფალი საქართველო", "საქართველოს რესპუბლიკა" (ორივე ფრანგულ ენაზე). ფრანგულად თარგმნა "ვეფხისტყაოსანი" (გამოიცა 1977 წ.). თარგმნილი აქვს ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას თხზულებები, მ.ლერმონტოვის პოემა "დემონი", ოპერა "აბესალომ და ეთერის" ლიბრეტო და სხვ.



თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 10/5)



ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ–გრუზინსკი – თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 10/5) მეუღლე

**11/5. ალექსანდრე დავითის ძე** (16.03.1853-25.01.1900, გარდაიცვალა ბაქოში. დაკრძალეს 29 იანვარს თბილისში, დიდუბის ეკლესიის გალავანში.) _ ერთი წლის ასაკში შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან ერთად. «... ალექსანდრე ჭავჭავაძე ძიძას ხელიდან გამოსტაცეს, მაგრამ საბედნიეროდ ჩააბარეს საიმედო ხელებს _ კნეინას მოახლეს ლუციას, რომელიც, როცა საშუალება არ ჰქონდა ეშოვა რაიმე საკვები, ბავშვს თოვლს აჭმევდა და ამით გადაარჩინა იგი სიკვდილს» (იხ. ანა დრანსე «შამილის ტყვე ქალები», თბ; 1978 გვ.23) **R** 16.09.1886 თინათინი, თავად ალექსანდრე მაღალაშვილის ასული (1860-1931).



ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ. VII, 11/5)

თბილისი 1881

**14/5. ანასტასია (ნასტენკა) დავითის ასული** (9.11.1856-1927) R თავადი ნიკოლოზ (კიკო) ზაალის ძე ჩოლოყაშვილი (1840-1906), პოლკოვნიკი. (ს. მატანი).



ანასტასია დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ.VII, 14/5)

**15/5. ნინო დავითის ასული** (2.01.1859-1936 დაკრძალულია ვაკის ძველ სასაფლაოზე). R თავადი დავით გიორგის ძე ჯორჯაძე (1867-1928), (ს. ენისელი). ნინოს შვილიშვილია რეჟისორი _ მერაბ კოკოჩაშვილი.



ნინო დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 15/5)



ნინო დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 15/5) შვილებთან – ივლიტა და მერაბ ჯორჯაძეებთან ერთად

ბაქო

**16/5. ილია დავითის ძე** (1.10.1860-1921) _ ყაზახის მაზრის მომრიგებელი შუამავალი (იხ. Кавказский календарь, 1916, გვ.207) **R** 16.06.1888 ბარბარე (ვერა), თავად ასლან ვაჩნაძის (ონანო) ასული (1866-1942), (ს.კოლაგი).



ილია დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ.VII, 16/5)

**17/5. არჩილ დავითის ძე** (3.11.1869-1913) - ჰუსართა ლეიბ-გვარდიის პოლკის კორნეტი (1895 წ.), შემდეგ გადამდგარი პოლკოვნიკი R ნატალია სერგეის ასული სელიფონტოვა (Наталья Сергеевна Селифонтова).



არჩილ დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ. VII, 17/5)



არჩილ დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ. VII, 17/5)

**18/16. ანა ილიას ასული** (22.10.1891-1943) **R** I. 22.10.1910 აზნაური იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი (1884-1960); **R** II. გრაფი ალექსანდრე ილარიონის ძე ვორონცოვ-დაშკოვი (Граф Александр Илларионович Воронцов-Дашков) (1881-1938).

**19/16. ნინო ილიას ასული** (1898-1924) **R** 1923 თავადი ალექსანდრე გიორგის ძე აფხაზი (1893-1953), (ს. კარდანახი).

**20/16. დავით ილიას ძე** (1900-1953) **R** I. 1925 ეველუნ ნორა ჰეილერი (Evelyn Nora Heiler) (1901-1960); **R** II. 1940 მარიამ ჭყონია (1896-1969) (ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობის შესახებ იხ. «საისტორიო მოამბე», 1993-94, № 65-66, გვ.307; ლ. კიკნაძე, ჟ. «მნათობი», 1998, №3-4, გვ. 151-165).



დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (ნ.VII, 5/2) მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და ნათესავებთან ერთად. მარცხნივ თეთრ ჩოხაში – დავით (დათა) გიორგის ძე ჯორჯაძე – ნინო დავითის ასულ ჭავჭავაძის (ნ. VII, 15/5) მეუღლე. დილიჟანი



ანა ილიას ასული ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა (ნ.VII, 5/2) ოჯახის წევრებთან ერთად



მარცხნიდან სხედან: ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 7/4), ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ.VII, 11/5), მარიამ ალექსანდრეს ასული ნიკოლაი-შერვაშიძისა (სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის (ნ.VII, 6/2) ქალიშვილი), დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (ნ.VII, 5/2), მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ.VII, 8/5) _ ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძის მეუღლე, ელენე დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ.VII, 9/5) _ ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევის მეუღლე; დგანან: ვლადიმერ ივანეს ძე ბარანოვი, ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევი, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე, თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ.VII, 10/5)

IX თაობა როშნიასაგან — თავადი იოანე (ნინია) ზურაბის ძე ჭავჭავაძე[24-1]

ნუსხა VIII (სოფ. წინანდალი)



**3/1. დიმიტრი იოანეს ძე** (1792-13.09.1826) **R** ანასტასია, თავად სიმონ ანდრონიკაშვილის ასული (ს.ქოდალო).

**4/1. გულბაათ (პანტელეიმონ) იოანეს ძე** (1796-2.08.1863) **R** I. 1822 ანა, თავად იოსებ ქობულაშვილის ასული (1809-1840); **R** II. თამარი, თავად ედიშერ ჩოლოყაშვილის ასული (1812-4.11.1848), (ს.ლალისყური).

**5/1. იასონ იოანეს ძე** (1804-18.06.1857) - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1852); სამხედრო სამსახური დაიწყო 1819 წ. პოდპრაპორშჩიკად, შირვანის (შემდეგ პასკევიჩის) ქვეითთა პოლკში. 1822 წ. მონაწილეობდა სამხედრო ლაშქრობაში ჭარ-ბელაქანში. 1823 წ-დან მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში; რუსეთ-ირანის (1826-1828) ომის მონაწილეა; განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1826 წ. 13 (25) სექტემბერს ელიზავეტოპოლთან ბრძოლაში; იბრძოდა რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829) ომში; მონაწილეობდა, აგრეთვე, რუსეთის არმიის სამხედრო ოპერაციებში კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. 1849 წ. დანიშნეს პრინც ვიურტემბერგის დრაგუნთა პოლკის მეთაურად. ყირიმის ომის (1853-1856) დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე ალექსანდროპოლის რაზმის შემადგენლობაში. თავი ისახელა 1853 წ. 19 ნოემბერს (1 დეკ.) ბაშკადიკლარის და 1854 წ. 24 ივლისს (5 აგვ.) ქურუქ-დარის ბრძოლებში, სადაც მძიმედ დაიჭრა. 1856 წ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამხედრო სამსახურიდან გადადგა **R** 13.05.1841 მარიამი (მაია), თავად შალვა ერისთავის (ქსნის) ასული (1816-1869) (იხ. მართა თარხნიშვილი - ერისთავის მოგონებები, «ლიტერატურის მატიანე», წიგნი V, ნაკვეთი I, 1949, გვ.123,126).



იასონ ჭავჭავაძე (ნ.VIII, 5/1)

**6/1. სპირიდონ იოანეს ძე** (1809-14.04.1872), გენერალ-ლეიტენანტი **R** ელიზავეტა სიმონის ასული ვასილიევა (Елизавета Семеновна Васильева).

**7/4. ზაქარია გულბაათის (პატელეიმონის) ძე** (7.08.1824-25.10.1905, დაკრძალულია წინანდალში) - 1842 წლიდან სამხედრო სამსახურშია, პრაპორშჩიკი (1844 წ.), პორუჩიკი (1848 წ.), შტაბს-როტმისტრი (1850 წ.), კაპიტანი (1851 წ.), მაიორი (1854 წ.),

პოდპოლკოვნიკი (1855 წ.), დაღესტნის საცხენოსნო ირეგულარული პოლკის მეთაური (1859 წ.), პოლკოვნიკი (1861 წ.), ტვერის 43-ე დრაგუნთა პოლკის მეთაური (1863 წ.), გენერალ-მაიორი (1871 წ.), კავკასიის კავალერიის დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაური (1874 წ.), რუსეთ-თურქეთის ომის დროს - გენერალ-ლეიტენანტი (1877 წ.), კავკასიის კავალერიის დივიზიის უფროსი (1879 წ.), შემდეგ კავკასიის სამხედრო კორპუსის მეთაური (1885 წ.), გენერალ-ადიუტანტი (1898 წ.), კავალერიის გენერალი (1891 წ.),



ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 7/4)



ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 7/4) და მისი მეუღლე მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (ნ. VII, 8/5)



ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 7/4)

ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა კომიტეტის წევრი. მიღებული აქვს: ოქროს დაშნა "მამაცობისათვის" (1858 წ.), ალმასებიანი ოქროს ხმალი (1877 წ.). დაჯილდოებულია: წმ. გიორგის მეოთხე (1854 წ.) და მესამე ხარისხების (1877 წ.), წმ. სტანისლავის (1875 წ.), წმ. ანას მახვილებიანი პირველი (1879 წ.) და წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხების (1883 წ.) და თეთრი არწივის (1886 წ.) ორდენებით; აგრეთვე, ალექსანდრე ნეველის ბრილიანტებიანი ორდენით (1890 წ.), წმ. ვლადიმერის პირველი ხარისხის (1902 წ.) და ბუხარის ოქროს პირველი ხარისხის ალმასებიანი ვარსკვლავით (1897 წ.). დაცულია ზაქარია ჭავჭავაძის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული წერილი (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-19300) ძმის _ ნიკოლოზისადმი. დაქორწინებული იყო ეკატერინე, თავად ლუარსაბ ჩოლოყაშვილის ასულზე (1842-1867) (ახმეტა); მეორე ქორწინებაშია 10.06.1869 წლიდან - მარიამ (კაკო), თავად დავით ჭავჭავაძის ასულზე (წინანდალი) (1849-1921); (იხ. ნუსხა VII, 8/5). შვილები ჰყავს მეორე ქორწინებიდან.

**8/4. ანასტასია გულბაათის (პატელეიმონის) ასული R** 8.07.1845 თავადი მიხეილ ნოშრევანის ძე ჯორჯაძე (1821-1857), (ს.გრემი).

**9/4. დარეჯან (დარია) გულბაათის (პატელეიმონის) ასული** (22.03.1833-?) **R** თავადი ივანე იოსების ძე შალიკაშვილი (1813-1866), გენერალ-მაიორი, (ს.ვეჯინი).

**11/4. არჩილ გულბაათის (პატელეიმონის) ძე** (13.03.1841-27.06.1902) - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1896). სამხედრო სამსახური დაიწყო პრაპორშჩიკის ჩინით. ტვერის 43-ე დრაგუნთა პოლკისა და კავკასიის მე-12 სახაზო ათასეულის შემადგენლობაშია (1862-1864); მონაწილეობდა კავკასიის ომების (1817-1864) ოპერაციებში დასავლეთ კავკასიაში. 1876 წ. მიიღო მაიორის ჩინი. 1877 წ. დაღესტნისახლადჩამოყალიბებულ ცხენოსანთა ბრიგადის მე-3 პოლკის მეთაური იყო; მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877-1878);



არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 11/4)



არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძის (ნ.VIII, 11/4) ოჯახი



მარცხნიდან: არჩილი გულბაათის ძე (ნ.VIII, 11/4), ზაქარია გულბაათის ძე (ნ.VIII, 7/4), ნიკოლოზ გულბაათის ძე (ნ.VIII, 14/4), დარეჯან (დარია) გულბაათის ასული (ნ.VIII, 9/4), ეკატერინე (მალუცა) გულბაათის ასული (ნ.VIII, 12/4) ჭავჭავაძენი

თავი გამოიჩინა ავლარის მთასთან 1877 წ. 3 (15) ოქტ. გამართულ ბრძოლაში, ყარსის აღებაში - 1877 წ. 6 (18) ნოემბ., არზრუმთან ბრძოლაში; 1879 წ. დანიშნეს დაღესტნის ცხენოსანთა პირველი პოლკის მეთაურად. მონაწილეობდა იმიერ-კასპიისპირეთში, რუსეთის არმიის ახალთექის (1879 წ. აგვისტო) ექსპედიციაში; 1883 წ. მიენიჭა პოლპოლკოვნიკის წოდება; 1889-1896 წწ. დრაგუნთა სევერსკის პოლკის მეთაურია; 1896-1902 წწ. - კავალერიის ბრიგადის მეთაური, 1902 წ. 11 (24) ივნისს დაინიშნა კავკასიის კავალერიის დივიზიის მეთაურად R მარიამი (მართა), თავად ზაქარია მელიქიშვილის ასული (1855-1921) _ ომისაგან დაზარალებულთა კავკასიის დახმარების კომიტეტის წევრი, თბილი ტანსაცმლის საწყობის გამგე (იხ. Кавказский календарь 1916, გვ.785).

**12/4. ეკატერინე (მალუცა) გულბაათის (პატელეიმონის) ასული** (3.02.1844-16.01.1905) R 12.11.1861 თავადი გრიგოლ რევაზის ძე მაყაშვილი (1827-1906), (ს.რუისპირი).

**14/4. ნიკოლოზ გულბაათის (პატელეიმონის) ძე** (1.01.1848-7.03.1915); 1898 წ. აგვისტოში დანიშნეს თელავის მომრიგებელ შუამავლად (იხ. «ივერია», 1898, ¹180, 22 აგვისტო გვ.2) R 30.04.1874 დარია, თავად ალექსანდრე ჯორჯაძის ასული (1855-?), (ს.გრემი).

**16/6. ალექსანდრე სპირიდონის ძე** (4.12.1839-?) - შტაბს-კაპიტანი.

**18/6. მიხეილ სპირიდონის ძე** (30.09.1844-1919) _ ტვერის 43-ე დრაგუნთა პოლკის მეთაურის მოადგილე; გენერალ-მაიორი R 29.05.1869 სოფიო, თავად ათანასე მაყაშვილის ასული (1850-1927), (ს. იყალთო).



მიხეილ სპირიდონის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 18/6)

**19/6. ლევან (ლეონიდ) სპირიდონის ძე** (6.08.1845-?) - სტატსკი სოვეტნიკი (Статский советник) R ბარბარე ნიკოლოზის ასული შატიხინა (Варвара Николаевна Шатихина).

**20/6. ირაკლი სპირიდონის ძე** (13.07.1848-?) - პოლკოვნიკი. დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ბაფთიანი (1904 წ.) და წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენებით (1905 წ.) R 7.01.1892 ნატალია, აზნაურ ზაქარია მეღვინეთუხუცესის ასული (1861-?).



ირაკლი სპირიდონის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 20/6)

**21/7. ალექსანდრე ზაქარიას ძე** (1.07.1870-1930) - პოდპოლკოვნიკი R I. 1896 მარია პავლეს ასული როდზიანკო (Мария Павловна Родзянко) (1877-1958), განქორწინდნენ 1915 წ.; R II. N. სააკოვა-სუხომლინა (N. Саакова-Сухомлина).

**22/7. ელისაბედ ზაქარიას ასული** (6.02.1874 -1912) R ივანე კონსტანტინეს ძე ლასკარი (Иван Константинович Ласкари).



ელისაბედ ზაქარიას ასული ჭავჭავაძე
(ნ.VIII, 22/7)

**23/7. მაქსიმილიან ზაქარიას ძე** (1.03.1876-1933) (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. I, 1968, გვ. 351) _ თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოს წევრი თელავის მაზრიდან, კამერ-იუნკერი (იხ. Кавказский календарь, 1916, გვ.138). დაცულია ტატიანა ანდრონიკაშვილის მოგონება (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-26250) მაქს ჭავჭავაძის შესახებ **R** ევგენია პავლეს ასული შაბლიკინა (Евгения Павловна Шаблыкина) _ წმ. ნინოს სახ. თელავის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე (იხ. Кавказский календарь, 1916, გვ.386).



მაქსიმილიან ზაქარიას ძე ჭავჭავაძე (ნ..VIII, 23/7)

**24/7. დავით ზაქარიას ძე** (12.09.1878-10.03. 1920) **R** ელიზავეტა კონსტანტინეს ასული ლასკარი (Елизавета Константиновна Ласкари).

**25/7. ანა (ანეტა) ზაქარიას ასული** (1.03. 1885 -1948) **R** 9.05.1912 ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინი (Алексей Петрович Опочинин) (1887-?), ტიტულიარნი სოვეტნიკი (Титулярный советник).

**26/7. სოფიო ზაქარიას ასული** (3.01.1891-?) **R** N. რიშკან-დერიუჟინსკი (N. Рышкан-Дерюжинский).



სოფიო (სონია) ზაქარიას ასული ჭავჭავაძე (ნ.VIII, 26/7)

**27/11. ზაქარია (შაქრო) არჩილის ძე** (17.02.1877-1957) **R** მარია ივანეს ასული ალეშკო (Мария Ивановна Алешко), ოპერის მომღერალი (იხ. გაზ. «Грузия», 1920, [1]23, 29აპრილი).

**28/11. თამარ არჩილის ასული** (8.10.1879-1950) **R** 7.10.1912 თავადი ირაკლი ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1878-1931), (ს.ვეჯინი).

**29/11. სოფიო (რუსუდან) არჩილის ასული** (20.08.1882-1952) **R** თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ავალიშვილი (1878-1937), (ს.ზრეთი).

**30/11. პანტელეიმონ (გულბაათ) არჩილის ძე** (18.06.1885-1908) - კორნეტი.

**32/18. სპირიდონ მიხეილის ძე** (6.07.1878-?) - პოლკოვნიკი. მენშევიკური მთავრობის დროს - გენერალი; 1924 წელს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულ ძალთა მთავარსარდალი (იხ. ს. ზალდასტანიშვილი «საქართველოს 1924 წლის ამბოხება», მოგონებები, თბ.; 1989, გვ.26, 29, 31-35, 38, 50; გ. მაზნიაშვილი «მოგონებანი», ბათუმი, 1990, გვ.227-228; ნესტან (ელისაბედ) კირთაძე «1924 წლის აჯანყება საქართველოში», ქუთაისი, 1996, გვ.165,169,174; ნ. ხუციშვილი, «მძიმე ტრაგიკული დღეები»,

საისტორიო მოამბე, [1]67-68, თბ., 1995-96, გვ. 377; შ. ამირეჯიბი, «ემიგრაციაში», წიგნი 2, თბ., 1998, გვ.140; ნესტან (ელისაბედ) კირთაძე «კაენ, სად არის ძმა შენი?!...», ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930), წიგნი I, თბ; 1998, გვ.319). შემდეგ ცხოვრობდა პარიზში, 1947 წელს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში. 1951 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს 25 წელი. 1954 წლის ამნისტია არ შეეხო. შემდგომი ბედი უცნობია R 30.01.1906 I. აგლაიდა თევდორეს ასული პეშუროვაია (Аглаида Федоровна Пещуровая) (1876-?);



მარცხნიდან სხედან: ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 32/18)
დგანან: ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფო ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი

R II. ოლგა ივანეს ასული დეკერი (Ольга Ивановна Деккер) (1892-?).

**35/20. სალომე ირაკლის ასული** (1894-?) R N ლუკაშვილი. სალომე გარდაიცვალა სოხუმში. დაკრძალულია იქვე.



სალომე ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ.VIII, 35/20)

**36/20. იასონ (მალხაზ) ირაკლის ძე** (1896-1924), დახვრიტეს ბოლშევიკებმა (იხ. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე «კაენ, სად არის ძმა შენი?!...», ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930), წიგნი I, თბ. 1998, გვ.486,505) **R** თამარი, თავად ვლადიმერ ანდრონიკაშვილის ასული (1899-1958), (გურჯანი) (**R** II ვიქტორ ბეგლარის ძე ანჯაფარიძე, პროფესიით ფარმაცევტი _ პროვიზორი, გარდაიცვალა 1944 წელს).



იასონ (მალხაზ) ირაკლის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 36/20)



იასონ (მალხაზ) ირაკლის ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 36/20)



თამარ ვლადიმერის ასული ანდრონიკაშვილი _ იასონ (მალხაზ) ირაკლის ძე ჭავჭავაძის (ნ.VIII, 36/20) მეუღლე

**37/20. მიხეილ ირაკლის ძე** (1898-1960) **R** ალინა ანტონის ასული მაკარენკო (Алина Антоновна Макаренко) (1904-?).

**39/21. pavle aleqsandres Ze** (15.06.1899-1971) **R** ნინა გიორგის ასული რომანოვა (Нина Георгиевна Романова) (1901-1974).

**40/21. გიორგი (იური) ალექსანდრეს ძე** (30.04.1904-1962) - მეუღლესთან ერთად დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში **R** 1938 ელისაბედ რიდვეი (Elisabeth Ridway) (1903-1962).

**42/32. მაია სპირიდონის ასული R** N. გოცირიძე.

**43/36. დიმიტრი იასონის (მალხაზის) ძე** (1919-1995) _დაიბადა თელავში. მამის დახვრეტის (1924 წ.) შემდეგ დედასთან და დებთან ერთად ახლობლებმა მალულად გადაიყვანეს იმერეთში, ქალაქ ქუთაისში. გაზარდა მამინაცვალმა ვიქტორ ბეგლარის ძე ანჯაფარიძემ. დიმიტრიმ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პროფესიით იყო ინჟინერი. კანონგარეშე ქორწინებით შეეძინა ვაჟი _ ბორისი, რომელიც დედის გვარს ატარებს.



დიმიტრი იასონის (მალხაზის) ძე ჭავჭავაძე (ნ.VIII, 43/36)

**44/36. ქეთევან იასონის (მალხაზის) ასული** (3.03.1922-2000) _ დაიბადა თელავში. დაამთავრა თბილისის მე-15 სკოლა (პეტრიაშვილსი ქუჩა), შემდგომ _ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი; მსახურობდა უნივერსიტეტში. **R** აბესალომ ანდრიას ძე ჭანტურია (1918-1991).



მარცხნიდან: ტყუპი და _ რუსუდან და ქეთევან იასონის (მალხაზის) ასულნი ჭავჭავაძენი (ნ.VIII, 45/36, 44/36) და მათი ბიძა _ მიხეილ ვლადიმერის ძე ანდრონიკაშვილი

**45/36. რუსუდან იასონის (მალხაზის) ასული** (3.03.1922) _ დაიბადა თელავში, დაამთავრა თბილისის მე-15 სკოლა, შემდგომ _ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. მსახურობდა პედაგოგად 30-ე (ახლა 152-ე) ბაგა-ბაღში, რომელიც 1934 წელს დაარსდა. **R** გიორგი არსენის ძე სულაძე (1915-1968).



რუსუდან იასონის (მალხაზის) ასული ჭავჭავაძე (ნ.VIII, 45/36), მისი მეუღლე გოგი არსენის ძე სულაძე, შვილები: მანანა და ვახტანგი



მარცხნიდან: რუსუდან იასონის (მალხაზის) ასული ჭავჭავაძე (ნ.VIII, 45/36), ნინო დავითის ასული ერისთავი (რაფიელ ერისთავის შვილიშვილი, ენუქი სარდიონის ძე ფაღავას მეუღლე), თამარ ვლადიმერის ასული ანდრონიკაშვილი _ ჭავჭავაძისა (ნ.VIII, 36/20), ქეთევან იასონის (მალხაზის) ასული ჭავჭავაძე (ნ.VIII, 44/36) დგანან: ანა ვლადიმერის ასული ანდრონიკაშვილი (ივანე კანდელაკის მეუღლე) და ოთარ ენუქის ძე ფაღავა

**47/39. დავით პავლეს ძე** (დ.1924) - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, დაჯილდოებულია საბრძოლო შვიდი მედლით. ამერიკის შეერთებული შტატების არმიის კაპიტანი **R** I. 1.09. 1952 ელენე ჰუსტედი (Elene Husted) (დ.1.02.1933); **R** II. 28.12.1959 ჯეინ კლიპინგერი (Jane Clippinger) (დ.24.03.1929); **R** III. 23.06.1979 ევგენია ვლადიმერის ასული შმიდტი (Евгения Владимировна Шмидт) (დ.12.07.1939).

**VIII** თაობა როშნიასაგან თავადი ბერი მამუჩის ძე ჭავჭავაძე[20-1] ნუსხა IX (სოფ. წინანდალი)



**2/1. იოანე ზერის ძე** R თავად N. გურამიშვილის ასული.

**4/1. იოსებ ზერის ძე** (1756-?) - ნაზირი მეფისა (იხ. პლატონ იოსელიანი «ცხოვრება გიორგი მეცამეტისა», აკ. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ.269, 275); «... ნაზირობის სარგო ეს გვქონდა რომელიც წერილით მომიხსენებია. ორმოცი წელი იქნება მამა ჩემი და მე ამ სახელოს ვემსახურებით უკანასკნელ მეფის გიორგიმდინ, ქართველთა და კახთ სალთხუცესთ და მდივნებს კითხეთ» (თავად იოსებ ჭავჭავაძის წერილი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს იხ. «მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის», შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებული «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», თბ. 1948, ნაკვ. I (26), გვ. 27).

**6/3. მარიამ (მაია) მერაბის ასული** (1790-?) **R** თავადი გიორგი დავითის ძე ავალიშვილი (1788-1824) (ს. ტურისციხე).

**7/3. მამუკა მერაბის ძე** (1791-?) **R** I. აზნაური გუქა მგალობლიშვილი; **R** II. ელენე N. (1821-13.01.1851).

**8/3. სულხან მერაბის ძე** (1793-1860) **R** 15.05.1822 თინათინი, თავად გიორგი მაყაშვილის ასული (ს.იყალთო).

**9/5. რამაზ (რომან) დავითის ძე** (1806-24.01.1888) - ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტანი. სპარსეთის და ოსმალეთის ომების მონაწილე. დაჯილდოებულია წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-4 ხარისხის, ლომისა და მზის სპარსული მე-2 ხარისხის ორდენებით და წმ. გიორგის წარჩინების ნიშნით; თანაუგრძნობდა 1832 წლის შეთქმულებას (იხ. ნ. შვანგირაძე «თამარ ჭავჭავაძე», თბ.; 1973, გვ.9) გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში დაცულია რომან ჭავჭავაძის წერილი (ხ-67247) თევდორე პავლეს ძისადმი, დათარიღებული 1858 წლის 9 დეკემბრით **R** 1833 მარიამი (მაია), თავად იაკობ ბარათაშვილის ასული (1818-1903).



რამაზ (რომან) დავითის ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 9/5)

**12/7. მარიამ (მაია) მამუკას ასული** R 29.10.1845 თავადი თამაზ კონსტანტინეს ძე ჩერქეზიშვილი (1825-1869), (ს.თოხლიაური).

**13/8. გიორგი სულხანის ძე** (16.01.1825-14.01.1879) - კოლეჟსკი რეგისტრატორი (Коллежский регистратор) R 24.01.1853 ნინო, თავად ქაიხოსრო სოლოღაშვილის ასული (1835-1907).

**14/8. დიმიტრი სულხანის ძე** (1829-5.08.1886, დაკრძალულია სოფ. ურიათუბანში) _ ცხოვრობდა საზღვარგარეთ, იყო სამხედრო (ჩინი უცნობია), ოჯახი არ შეუქმნია; გარდაიცვალა თელავში. დარჩა დიდი ქონება: «40 000 თუმნის სარგებლიანი ბილეთები სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში» (იხ. «ივერია», 1887, [1]118, 13 ივნისი, გვ.1-2); დიმიტრი ჭავჭავაძის ანდერძის მიხედვით, ეს თანხა საქველმოქმედო მიზნით უნდა გამოეყენებინათ. ნათესავებმა სასამართლოში აღძრეს საქმე. დავა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა (იხ. 1887-1904წწ. პრესა: «ივერია», «ცნობის ფურცელი»).

**15/8. ივანე სულხანის ძე** (4.08.1826-28.06.1913) - გენერალ-მაიორი R დარია, თავად რამაზ ანდრონიკაშვილის ასული (1846-1916), (ს. ვეჯინი).

**16/9. დავით რამაზის (რომანის) ძე** (12.02. 1834-25.01.1906) R 23.02.1869 სოფიო, თავად ლუარსაბ ყარალაშვილის ასული (1844-1933).

**17/9. მამუკა (მაკარ) რამაზის (რომანის) ძე** (10.04.1836-27.07.1916) - მონაწილეობდა დუნაისპირეთის სათავადოებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში თურქების წინააღმდეგ (1853-1854 წწ.-ში); 1855 წლიდან _ სევასტოპოლის დაცვაშია. 1860 წლიდან, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, მუშაობდა სხვადასხვა სამოქალაქო დაწესებულებებში. სამსახურიდან გადადგა "დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" წოდებით. დაჯილდოებულია: წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 და მე-2 ხარისხების, ლომისა და მზის სპარსული მე-2 ხარისხის ორდენებით და ასევე მედლებით R პრასკოვია ნიკოლოზის ასული შატიხინა (Прасковья Николаевна Шатихина) (1841-21.08.1912)_პოეტი, მთარგმნელი. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში დაცულია პრასკოვია შატიხინა-ჭავჭავაძის 1903 წლით დათარიღებული ლექსი (ხ-7251) რუსულ ენაზე მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი.

ჭავჭავაძეები_მელქისედეკ (მიხეილ) ზურაბის ძე (ნ. III, 17/5), ლევან სპირიდონის ძე (ნ.VIII, 19/6) და მამუკა (მაკარ) რამაზის (რომანის) ძე (ნ. IX, 17/9) იყვნენ ქვისლები (იხ. ივ. ლოლაშვილი, «ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან», თბ., 1980, გვ.146).



მამუკა (მაკარ) რამაზის (რომანის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 17/9)

**18/9. ელენე რამაზის (რომანის) ასული** (20.08.1839-21.08.1891) R აზნაური პაატა იოსე-ბის ძე მგალობლიშვილი.

**19/9. ზაქარია (იაკობ) რამაზის (რომანის) ძე** (21.03.1841-11.04.1932) R 31.01.1907 ანა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი (1865-?).



ზაქარია რამაზის (რომანის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 19/9), თინათინ (თიკო) რამაზის (რომანის) ასული ჭავჭავაძე-ტუსიშვილისა (ნ.IX, 22/9) და მათი დედა _ მაიკო დავითის ასული ბარათაშვილი.

**20/9. კონსტანტინე რამაზის (რომანის) ძე** (1.02.1844-?) R 10.11.1880 ბარბარე, თავად ზაქარია ვაჩნაძის (ონანო) ასული (1852-1902), (ს.კოლაგი).

**22/9. თინათინ (ტატიანა) რამაზის (რომანის) ასული** (3.01.1848-1.08.1906) R 14.02.1870 თავადი ზურაბ კონსტანტინეს ძე ტუსიშვილი (1840-1872).

**23/9. გრიგოლ (გოგი) რამაზის (რომანის) ძე** (7.08.1849-1928) **R** I. სოფიო, თავად N. ჯანდიერის ასული; **R** II. 20.09.1884 ნინო, თავად დავით მაყაშვილის ასული (1861-18.12. 1928), (ს.იყალთო).

**24/9. ანასტასია რამაზის (რომანის) ასული** (3.04.1852-1924) **R** 31.01.1871 თავადი გიორგი ზურაბის ძე მაყაშვილი (1849-1910), (ს. რუისპირი); მათი ქალიშვილი _ **ელენე** გათხოვდა **ირაკლი გიორგის ძე ჭავჭავაძეზე** (იხ. ნ. III, 20/7).



ანასტასია რამაზის (რომანის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 24/9)



მარცხნიდან: I რიგში სხედან: ელენე გიორგის ასული მაყაშვილი _ ირაკლი გიორგის ძე ჭავჭავაძის (ნ.III, 20/7) მეუღლე, ანასტასია რამაზის (რომანის) ასული ჭავჭავაძე-მაყაშვილისა (ნ.IX, 24/9), მერი ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 33/20). დგანან მარცხნიდან: ირინე ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 31/20) _ ვალერიან გაფრინდაშვილის მეუღლე, თამარ ირაკლის ასული ჭავჭავაძე (ნ.III, 34/20)

**26/9. სოფიო რამაზის (რომანის) ასული** (1857-1933) **R** 21.05.1877 თავადი ნიკოლოზ გიორგის ძე თარხან-მოურავი (1854-1914), (ს. ახალქალაქი).

**27/13. სულხან (სამსონ) გიორგის ძე** (22.04. 1869-?) **R** 27.08.1894 ნინო, თავად ზურაბ ტუსიშვილის ასული (1872-?).



სულხან (სამსონ) გიორგის ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 27/13)



სულხან (სამსონ) გიორგის ძე ჭავჭავაძე (6.IX, 27/13), მეუღლესთან, ნინო ზურაბის ასულ ტუსიშვილთან ერთად

(22.04. 1869-?) R 27.08.1894 ნინო, თავად ზურაბ ტუსიშვილის ასული (1872-?).

**30/16. ანა დავითის ასული** (20.02.1873-?) **R** მიხეილ არდატოვი (Михаил Ардатов).

**31/16. თამარ დავითის ასული R** ალექსანდრე გველესიანი.

**32/16. ელენე დავითის ასული** (10.03.1879-1953) **R** 23.01.1909 თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ვახვახიშვილი (1883-1956).

**33/17. მარიამ (მაკა) მამუკას (მაკარის) ასული** (1864-?) **R** აზნაური გალაკტიონ გიორგის ძე ღოღობერიძე (3.01.1858-?), პოლკოვნიკი.



მარიამ (მაკა) მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 33/17) მეუღლესთან, გალაქტიონ გიორგის ძე ღოღობერიძესთან ერთად

**34/17. ნინო მამუკას (მაკარის) ასული** (1866-1950) _ თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის პედაგოგი. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში დაცულია მისი მოგონებები (ხ-13266) ჩაწერილი გ. მოზდოკელის მიერ.

**35/17. ალექსანდრე მამუკას (მაკარის) ძე** (1868-?) - შორეული ნაოსნობის კაპიტანი; ბათუმში დააარსა მეზღვაურთა სკოლა (იხ. ნ. შვანგირაძე «თამარ ჭავჭავაძე», თბ. 1973 გვ. 11); «დაიღუპა ბათუმიდან ჰამბურგს მიმავალი ნავთით დატვირთული გემი «ბლესკი». გადარჩა გემის ოცდათორმეტი მოხელე და ცნობილი მეზღვაური, კაპიტნის თანაშემწე, თავადი ალექსანდრე მამუკას ძე ჭავჭავაძე» (იხ. «ცნობის ფურცელი», 1896, №47, 5 დეკემბერი, გვ. 3); ალექსანდრე მამუკას ძე სან-ფრანცისკოში შეხვდა დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელს, კატორღიდან გაქცეულ იოსებ ლაღიაშვილს (იხ. იპ. ვართაგავა, მოგონებები, წიგნი 2, 1962, გვ.381-382). «დააპატიმრეს მუდამ ბედნავსი მეზღვაური საშა ჭავჭავაძე. მას თურქებთან ურთიერთობაში ისეთივე ბრალი მიუძღოდა, როგორც მე ჩინელებთან. საშა ჭავჭავაძე არასოდეს ეთანხმებოდა მმართველ წრეებს საზღვაო უწყების წარმართვისას. ამას არც ფარავდა. ნ. რამიშვილს მისი განთავისუფლება ვთხოვე; ვარწმუნებდი, მას თურქებთან არანაირი კავშირი არა აქვს-მეთქი. იგი გაათავისუფლეს (იხ. გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, საქართველოს

დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, წ. 2, თბ.; 1999, გვ. 128) R ოლგა სუხოდოლსკაია (Ольга Суходольская).



ალექსანდრე მამუკას (მაკარის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 35/17)
მეუღლესთან, ოლგა სუხოდოლსკაიასთან ერთად

**36/17. მიხეილ მამუკას (მაკარის) ძე** (20.12. 1869-10.03.1936) - მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ.) მანჯურიის არმიის შემადგენლობაში, შემდგომ - პირველ მსოფლიო ომში. რამდენჯერმე იყო დაჭრილი. დაჯილდოებულია: წმ. სტანისლავის მე-3 და მე-2, წმ. ანას მე-4, მე-3 და მე-2, წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხების ორდენებითა და მრავალი მედლით R სოფიო მიხეილის ასული კოდინა-საგინაშვილი (1871-?).



მიხეილ მამუკას (მაკარის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 36/17) მეუღლესთან,

სოფიო მიხეილის ასულთან და შვილებთან ერთად

**37/17. თამარ მამუკას (მაკარის) ასული** (4.08.1874-1955) _ ავტორია მოგონებებისა პაპის _ ნიკოლოზ პავლეს ძე შატიხინის (მისი სურათი დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში №6604) ოჯახის, ალექსანდრე ყაზბეგის (იხ. ივ. ლოლაშვილი «ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან», თბ. 1980, გვ 145-150) და ილია ჭავჭავაძის (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხ-13448, ხ-13451, ხ-13452) შესახებ.



თამარ მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 37/17)



მარცხნიდან სხედან: თამარ მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 37/17), პატარა ნატალია (Таля) მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 48/36), დგას: პატარა დავით (დოდიკ) მიხეილის ძე ჭავჭვაძე (ნ6.IX, 47/36). გვერდით ზის: მარიამ (მაკა) მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 33/17); უკან დგანან: სოფიო მიხეილის ასული კოდინა-საგინაშვილი _ მიხეილ მამუკას (მაკარის) ძე ჭავჭავაძის (ნ.IX, 36/17) მეუღლე და ნინო მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 34/17)

**40/20. ელენე კონსტანტინეს ასული** (10.05.1888-21.06.1973) R გრიგოლ გრიგოლის ძე ჩუხნინი (Григорий Григорьевич Чухнин) (?-1920), ცნობილი ადმირალის - გრიგოლ ჩუხნინის ვაჟი. დაიღუპა ტრაგიკულად: 1920 წელს ბოლშევიკებმა ჩააგდეს თავისივე გემის საცეცხლურში.



ელენე კონსტანტინეს ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 40/20) მეუღლესთან, გრიგოლ გრიგოლის ძე ჩუხნინთან ერთად

**44/27. მარიამ სულხანის ასული** (9.11.1900-?) R N. ჯაფარიძე.

**47/36. დავით (დოდიკ) მიხეილის ძე** (17. 08.1908-2.11.1972) R I. ნატალია (ტალია) პიგუმოვა (Наталия (Таля) Пигумова); R II. თინათინ იასონის ასული მუჯირი; R III. ლიდია კოლოსოვსკაია (Лидия Колоссовская).




დავით (დოდიკ) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 47/36)

**48/36. ნატალია (Таля) მიხეილის ასული** (1911-10.12.1979) - მხატვარი R მხატვარი _ ვლადიმერ ყარამანის ძე ქუთათელაძე (II. მარგარიტა ალექსანდრეს ასული თუშ-მალიშვილი).



ნატალია(Таля) მიხეილის ასული ჭავჭავაძე
(ნ.IX, 48/36)

**49/47. მიხეილ დავითის ძე** (1943-1995) R I. მედეა (მეა) ვლადიმერის ასული მელაძე (დ.1941); R II. ნანა გაგუა (დ.1944).

**50/49. ანა მიხეილის ასული** (დ.1963) R I. კონსტანტინე გივის ძე აბაშიძე (დ.1964); R II. ნუგზარ არჩილის ძე მოლოდინაშვილი (დ.1955).

**51/49. დავით მიხეილის ძე** (დ.1965) R თამარ ბორისის ასული მელიქიშვილი (დ.1965).



მამუკა (მაკარ) რამაზის ძე ჭავჭავაძის ოჯახი.
მარცხნიდან: მარიამ (მაკა) მამუკას ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 33/17), პრასკოვია ნიკოლოზის ასული შატიხინა-ჭავჭავაძისა (ნ.IX, 17/9), თამარ მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 37/17), ალექსანდრე (საშა) მამუკას (მაკარის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 35/17), მამუკა (მაკარ) რამაზის (რომანის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 17/9), ნინო მამუკას (მაკარის) ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 34/17), მიხეილ მამუკას (მაკარის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 36/17).



მარცხნიდან: დავით (დოდიკ) მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 47/36), მამუკა (მაკარ) რამაზის (რომანის) ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 17/9), ნატალია (Таля) მიხეილის ასული ჭავჭავაძე (ნ.IX, 48/36)



მარცხნიდან: ზურაბ ნიკოლოზის (ნიკოს) ძე ჭავჭავაძე (ნ.III, 49/43) და დავით მიხეილის ძე ჭავჭავაძე (ნ.IX, 51/49)



ჭავჭავაძეთა გენეალოგიური ტაბულა
1943 წელს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმს შესწირა
თამარ მამუკას (მაკარის) ასულმა ჭავჭავაძემ



თინათინ (თიკო) ზურაბის ასულ ჭავჭავაძის (იხ. ნ.III, 16/5) მზითვის სია
(ფრაგმენტი) _ 1856 წელი 3 ნოემბერი გ. ლეონიძის სახ.
ლიტერატურული მუზეუმის ფონდი ხ-19534

IX თაობა როშნიასაგან — თავადი იოსებ ბერის ძე ჭავჭავაძე[4-1]

ნუსხა X
(სოფ. ურიათუბანი,
ახლანდ. ვაზისუბანი)

**X**
- სიმონ[2] 1790-?
- ალათონ[3] 1801-?
- ლევან[4] 1807-?

**XI**
- ბარბარე[5] 1822-1864 (სიმონის შვილი)
- იოსებ[6] 1824-1860 (სიმონის შვილი)
- სიმონ[7] (სიმონის შვილი)
- დარეჯან[8] (ხოხობა) 1845-? (ლევანის შვილი)
- თამარ[9] 1851-? (ლევანის შვილი)

**XII** (იოსების შვილები)
- ეკატერინე[10] 1847-?
- დიმიტრი[11] (ტიტიკო) 1849-?
- ანა[12] (მანანა) 1851-1932
- მაგდანა[13] (ცაკალო) 1854-?
- ილია[14] 1855-?
- ალექსანდრე[15] 1859-1910
- სიმონ[16] 1860-?

**XIII** (ალექსანდრეს შვილები)
- ბორის[17] 1900-1919
- რომან[18] 1901-1919
- ლეონიდე[19] 1902-?
- ნატალია[20] 1904-1941
- ვადიმ[21] 1907-1928

**XIV** (ბორისის შვილი)
- ირინე[22] დ.1920

**2/1. სიმონ იოსების ძე** (1790-?) _ კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე. ამნისტირებულია 1816 წელს R 10.06.1818 ელისაბედი, აზნაურ გიორგი ანდრონიკაშვილის ასული (?-12.02.1860), (ს.ოჟიო).

**3/1. აღათონ იოსების ძე** (1801-?) R თინათინ N. (1811-15.11.1831).

**4/1. ლევან იოსების ძე** (1807-?), პრაპორშჩიკი R 13.11.1830 I. ეფემია, თავად ბეჟან ტუსიშვილის ასული (1814-?); R II. მართა დავითის ასული N (1808-1870; შვილები ჰყავს მეორე ქორწინებიდან.

**5/2. ბარბარე სიმონის ასული** (1822-20.04. 1864) R 14.05.1847 თავადი გიორგი (მატათა) როსების ძე ბაბადიში (1817-1874), (ს.ფშაველი).

**6/2. იოსებ სიმონის ძე** (21.03.1824-12.05.1860) R 1.11.1842 ნატალია, თავად იაკობ ბარათაშვილის ასული (1824-1908).

**8/4. დარეჯან (ხოხობა) ლევანის ასული** (18.09.1845-?) R 14.07.1859 თავადი ალექსანდრე პაატას ძე ანდრონიკაშვილი (1838-1888), (ს.ქოდალო) _ სალომე მელქისედეკის ასულ ჭავჭავაძის (იხ. ნ. III, 4/2) ვაჟი; დარეჯან (ხოხობდარო) ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ანდრონიკაშვილის შვილთაშვილები არიან: თენგიზ ვაჩნაძე, ელდარ, გიორგი შენგელაიები, გიორგი (გოგი), კირა, მერაბ ანდრონიკაშვილები, ბორის ანდრონიკაშვილი-პილნიაკი.

**9/4. თამარ (თაფლო) ლევანის ასული** (9.06.1851-?) R 21.08.1867 თავადი ზაქარია რევაზის ძე ვაჩნაძე (ბებურო) (1843-1899), (ს.კარდანახი).

**11/6. დიმიტრი (ტიტიკო) იოსების ძე** (21.02. 1849-?) _ ლექსი უძღვნა მერაბ ყორღანაშვილმა (იხ. «სხვა და სხვა ლექსები», თხზულება მერაბ ყორღანოვისა, ტფილისი, 1881, გვ. 64-66) R 5.06.1867 სოფიო, თავად გიორგი (დავით) ბარათაშვილის ასული (1852-?), (ს.მარაბდა).



დიმიტრი (ტიტიკო) იოსების ძე ჭავჭავაძე (ნ.X, 11/6)
ახალგაზრდობაში



დიმიტრი (ტიტიკო) იოსების ძე ჭავჭავაძე (ნ.X, 11/6)



სოფიო გიორგის ასული ბარათაშვილი _ დიმიტრი (ტიტიკო)
იოსების ძე ჭავჭავაძის (ნ.X, 11/6) მეუღლე

**12/6. ანა (მანანა) იოსების ასული** (1851-1932) **R** თავადი ზაქარია რამაზის ძე მაყაშვილი (1839-1913), (ს. იყალთო).

**13/6. მაგდანა (ცაკალო) იოსების ასული** (24.12.1854-?) **R** 6.02.1876 თავადი ნიკოლოზ ანდრიას ძე ხერხეულიძე (1840-1886).

**15/6. ალექსანდრე იოსების ძე** (19.03.1859-16.03.1910), დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის მეთაური R 1895 ეკატერინე ივანეს ასული კოსტუჩენკო (Екатерина Ивановна Костученко) (1879-1967).

**17/15. ბორის ალექსანდრეს ძე** (15.02.1900-1919) R 16.02.1919 ეკატერინე ალექსანდრეს ასული არაპოვა (Екатерина Александровна Арапова) (1900-?).

**20/15. ნატალია ალექსანდრეს ასული** (11.07.1904-11.03.1941) R 1930 თავადი ალექსი ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (1904-1972).

**22/17. ირინე ბორისის ასული** (დ.23.04.1920) R 1947 მაირონ ლომესნი (Myron Lomasney) (დ.1907).

## *წყაროები*


_ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფოს საისტორიო არქივი (ქვემოთ, ყველგან იხ. შემოკლებით: სცსსა), ფ. (ფონდი) 1. Общее собрание Верховного грузинского правительства (1801-1838 гг.)

_ სცსსა. ფ. 2. Канцелярия главноуправляющего Закавказским краем (1801-1846 гг.)

_ სცსსა. ფ. 3. Канцелярия на чальника Гражданского управления Закавказским краем (1842- 1859 гг.)

_ სცსსა. ფ. 4.Канцелярия наместника Кавказского (1845-1858 гг.)

_ სცსსა. ფ. 5. Канцелярия начальника главного управления главноначальствующего гражданской частью на Кавказе (1859-1883 гг.)

_ სცსსა. ფ. 7.Департамент главного управления главноначальствующего гражданской частью на Кавказе (1868-1883 гг.)

_ სცსსა. ფ. 8. Департамент общих дел главного управления наместника Кавказского (1859-1867 гг.)

_ სცსსა. ფ. 9 Департамент судебных дел главного управления наместника Кавказского (1859 - 1867 гг.)

_ სცსსა. ფ. 12. Канцелярия главноначальствующего гражданской частью на Кавказе (1883 - 1905 гг.)

_ სცსსა. ფ. 13. Канцелярия наместника на Кавказе (1905-1917 гг.) (судебный и особый отделы).

_ სცსსა. ფ. 16. Канцелярия Тифлисского военного губернатора управляющего гражданской частью (1802-1850 гг.)

_ სცსსა. ფ. 17. Канцелярия Тбилисского губернатора (1860-1917 гг.)

_ სცსსა. ფ. 26. Тифлисское Губернское правление (1802-1812 гг.)

_ სცსსა. ფ. 112. Тифлисская палата уголовного и гражданского суда (1802-1968 гг.)

_ სცსსა. ფ. 113. Тифлисская судебная палата (1868-1921 гг.)

_ სცსსა. ფ. 114. Прокурор Тифлисской судебной палаты (1869-1918 гг.)

_ სცსსა. ფ. 115. Прокурор Тифлисского окружного суда (1868-1920 гг.)

_ სცსსა. ფ. 116. Тифлисский окружной суд (1868-1921 гг.)

_ სცსსა. ფ. 192. Городские общественные управления (перепись населения, семейные списки (აღწ. 5)

_ სცსსა. ფ. 213, 214. Тифлисское губернское дворянское депутатское собрание (1817-1917 гг.).

_ სცსსა. ფ. 215. Земельная комиссия дворянства Тифлисской губернии (1907-1916 гг.)

_ სცსსა. ფ. 229. Канцелярия наместника на Кавказе по военно-народному управлению (1883 - 1908 гг.)

_ სცსსა. ფ. 231. Сословная поземельная комиссия (1883-1908 гг.)

_ სცსსა. ფ. 234. Комиссия по рассмотрению грузинских и имеретинских царских документов (1830-1839 гг.)

_ Ф. 253. Тифлисский государственный архив (Тифлисская казенная палата), опись 1

_ სცსსა. ფ. 254. Тифлисская казенная палата (1802-1918 гг.)

_ Ф. 395 Центральный государственный военно-исторический архив (ЦГВИА, Москва); (Инспекторский департамент; послужные списки офицеров русской армии)

_ Ф. 400 ЦГВИА (Главный штаб; послужные списки офицеров русской армии)

_ Ф. 409 ЦГВИА (Коллекция послужных списков офицеров русской армии)

_ სცსსა. ფ. 414. Тифлисский губернский статистический комитет (1862-1915 гг.)

_ სცსსა. ფ. 489. Грузино-имеретинская синодальная контора (აღწერა 1,6) (1815-1910 гг.)

_ სცსსა. ფ. 1105. Канцелярия Тифлисского военного губернатора (1827-1842 гг.)

_ Ф. 1343 Российский государственный исторический архив (РГИА ); (Департамент Герольдии Правительствующего Сената), опись 16-37 (Дела о дворянстве)

_ Ф. 1343 РГИА, опись 46 (Дела о признании дворянских титулов)

_ Ф. 1349 РГИА ( Коллекция послужных списков)

_ სცსსა. ფ. 1448. ძველი საბუთების დედნების კოლექცია (XI-XIXსს)

_ სცსსა. ფ. 1449 ძველი საბუთების პირთა კოლექცია (XI-XIXსს)

_ სცსსა. ფ. 1450 ძველი საბუთების პირთა კოლექცია, გადაწერილი საქართველოს უზენაესი მთავარმართებლის ბრძანებით (XIXს. I მეოთხედი)

_ სცსსა. ფ. 1451. საქართველო _ იმერეთის სინოდალური კანტორის რეგისტრები (ძველი საბუთები)

_ სცსსა. ფ. 1457. Коллекция следственных материалов о грузинском заговоре 1832 г.

_ სცსსა. ფ. 1567. Уездные предводители дворянства (1840-1917 гг.)

## *ლიტერატურა*

1. ავალიანი გ. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან; ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში, თბ.; 1967
2. მეგრელიძე შ. ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ.; 1979

3. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIXსს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა, თბ.; 1980
4. Акты собранные кавказской археологической комиссией: Архив главного управления наместника кавказского, т.1-12
5. Бутков П.Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, С-Пет., 1869
6. Дубровин Н. Закавказье от 1803 – 1806 года, СПБ, 1866
7. Картотека Е. Г. Вейденбаума (როსიკის ფონდი. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი)
8. Rerrand J. Les Ramilles princieres de Georgie. Paris, 1983

მზადდება გამოსაცემად: აბაშიძეების, მიქელაძეების, ჩხეიძეების, მხეიძეების, ორბელიანების გენეალოგიები.

შთამომავლებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ საოჯახო ფოტოები

ტელეფონი: 98-75-54

GEORGIAN NOBLE RAMILIES

The Rirst book oR the series

YURI CHIKOVANI

# PRINCES CHAVCHAVADZE

ARTANUJI Publishers
Tbilisi 2002

ГРУЗИНСКИЕ ЗНАТНЫЕ РОДЫ

Первая книга серии

**Юрий Чиковани**

# Князья Чавчавадзе

**Издательство АРТАНУДЖИ**

**Тбилиси 2002**

ფოტოგრაფიული უზრუნველყოფა
ბესო გულაშვილისა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
სოსო გეჯაძე, გიორგი მასხარაშვილი, ქეთევან ჩხაიძე, მარიკა წიკლაური, ილია ხელაია

გამომცემლობა «არტანუჯი»

✉ თბილისი. ილია ჭავჭავაძის გამზირი 17 ბ. ☎ 25-05-22, 8-99-53-05-22.
artanuji@ip.osgR.ge